„მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

ნიკოლაძის გზით

ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი № 2 (292) 25 თებერვალი ხუთშაბათი, 2021 წელი; ფასი 1 ლ.

ნეონაცები ეროვნული დროშით ბრუნდებიან პოლიტიკაში

ფრთხილად საქართველო, შენ ეს უკვე ნახე „ოცნებას" ლიდერები ტოვებენ, თუმცა, ხალხს ის არ მიუტოვებია, ეროვნული ძალები კი არ ჩანან...

მე-2 გვ

3 მარტი დედის დღეა – ვულოცავთ!

„დედას უყვარვართ შვილები, დედა არ გვახსოვს შვილებსა, იმითა გვტანჯავს გამჩენი, სულ მუდამ გვაცოდვილებსა"...

ბატონ ნუგზარ ნადარაიას ხსოვნას

1945 წლის 26 თებერვალს დაიბადა დიდი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე ნუგზარ ნადარაია

ლეგენდად დარჩა...

მე-4 გვ



ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბიროს მორიგი სხდომა

მე-7 გვ

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული მალხაზ თორია, მის მოადგილეებთან ერთად რეგიონის მერებს შეხვდა

მე-2 გვ

რიონზე ახალი ხიდი შენდება

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მოსახლეობასთან შეხვედრა გამართეს

მე-2 გვ

მარტოწყალას ტბაზე სათევზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები განხორციელდა

მე-3 გვ



ფოთში ახალი ალტერნატიული შემოვლითი გზის მშენებლობის საკითხზე შეხვედრა გაიმართა

მე-3 გვ

ფოთში სავაჭრო ცენტრი „კარფური" გაიხსნა

მე-3 გვ

ქალაქში წყალარინების გამწმენდი ნაგებობისა და წყალარინების ქსელის მშენებლობა მიმდინარეობს

მე-3 გვ

ქალაქში, უეფას მესამე კატეგორიის სტადიონის სამხრეთ და ჩრდილოეთ ტრიბუნის მოწყობის და სათადარიგო ხელოვნურსაფარიანი მოედნის მშენებლობის სამუშაოები დასრულების ეტაპზეა

მე-3 გვ



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია და წითელი ჯვრის საზოგადოება ერთობლივი სოციალური პროგრამების განხორციელებას გეგმავს

მე-3 გვ

საავადმყოფო „ბომონდი" ფართოვდება

ქალაქ ფოთის ცენტრალურ საავადმყოფო- ბომონდის ახალ კორპუსში ფუნქციონირებას დაიწყებს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრი - ემერჯენსი, ქირურგიული, ნეიროქირურგიული და რეანიმაციული განყოფილებები. მარტის შუა რიცხვებიდან კლინიკას ასევე დაემატება პროფესიონალი ექიმებითა და თანამედროვე დონის აპარატურით აღჭურვილი დიალიზის ცენტრი.

კლინიკაში ასევე მოეწყო რადიოლოგიური დეპარტამენტი, დამონტაჟდა ციფრული რენტდგენის თანამედროვე აპარატურა და კომპიუტერული ტომოგრაფია.

კლინიკის ახალი კორპუსი 64 პაციენტზეა გათვლილი.

კლინიკის ახალი კორპუსი ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბექა ვაჭარაძემ და საკრებულოს წევრებმა დაათვალიერე.

სპორტი

საქართველოს ნაკრებს ახალი მწვრთნელი ყავს

ვილი სანიოლი

მე-8 გვ

ნეონაცები ეროვნული დროშით ბრუნდებიან პოლიტიკაში

ფრთხილად საქართველო, შენ ეს უკვე ნახე

„ოცნებას" ლიდერები ტოვებენ, თუმცა, ხალხს ის არ მიუტოვებია, ეროვნული ძალები კი არ ჩანან...

30 წლიანმა დემოკრატიამ ბევრი ვერაფერი გვასწავლა, ყველა ხელისუფლება სახელმწიფოს უზურპატორი გახდა. ისინი არ ემსახურებოდნენ ქვეყნის ინტერესებს, ხალხის საჭიროებებს. მათი მოღვაწეობა რეალობას მოწყდა და ადამიანებიც სიღარიბისთვის იყვნენ განწირულნი. ხალხსა და ხელისუფლებას შორის უფსკრული უფრო და უფრო ღრმავდება, არადა, იყო მოლოდინები, დაპირებები, ბედნიერი ცხოვრების და ქართული ოცნების ასრულებისა. ორად გაყოფილი, პარტიულად დაპირისპირებული ქვეყანა კრიტიკულ ზღვარზეა, ისე, რომ სოციალური აფეთქება არც ისე შორსაა. ბევრი პარამეტრით ჩნდება კითხვები საპარლამენტო არჩევნებზე-მოსყიდვები, ზეწოლა, გაყალბება და ასე შემდეგ. ამას რომ თავი დავანებოთ შედეგი მართლაც სავალალოა-ერთპარტიული პარლამენტი. ესეც 30 წლიანი ფსევდოდემოკრატიის ინერციაა, როცა პარტია ერთ კაცთან ასოცირდება, ასე, რომ როგორც არაერთხელ გვითქვამს, საქართველოში პარტია არარსებობს, იგი თანამდებობებს, სავარძლებს უკავშირდება და პირველი პირებიც ისე ტოვებენ ამ იდეურ ციტადელს, თითქოს იქ არც ყოფილან. გულგატეხილ ხალხს არც ნეონაცების სჯერა და არც ოპოზიციის. ყველა გამოსცადა, მათ მხოლოდ ძალაუფლება აერთიანებთ, როგორმე დაეპატრონონ ქვეყანას. ხალხის არჩევანი ორ პარტიას შორის გაკეთდა, ორივე სახელისუფლებოა ფინანსური რესურსებით. მესამე -ეროვნული ძალა არ ჩანს. არადა, მოვლენები პროვოკაციებზეა აგებული, რასაც შეიძლება ქვეყანა გადაყვეს. „ნაციონალებმა" 20 მილიარდი გაიტანეს ამ პატარა ქვეყნიდან და საკმაო რესურსი აქვთ რევოლუციისა და გადატრიალებისათვის. სამწუხაროდ, ამ ძალის ირგვლივ მთელი ოპოზიციური სპექტრია თავმოყრილი. რატომღაც დაავიწყდათ 7 ნოემბერი, 26 მაისი, აგვისტოს ომი, რომელმაც სულზე მოუსწრო სააკაშვილს, როცა ლამის ნახევარი საქართველო ჩააბარა რუსეთს, შემდეგ კი სტრატეგიული ობიექტებიც მიაყოლა. ასე, რომ რა დანაშაული უნდა ჰქონდეს „ოცნებას" ისეთი, ნეოფაშისტების გვერდით რომ დადგნენ. სამწუხაროდ, ამ ძალას უფრო მეტი ამომრჩეველი ყავს ვინემ ერთად აღებულ ოპოზიციას. ეს არის ძალა, რომელიც ამოფარებულია დემოკრატიას, პატრიოტიზმსა და რელიგიას. მანიპულირებს ხალხის გაჭირვებით, რუსეთის მტრის ხატით, ქვეყნის გადარჩენის სურვილით სახელმწიფოს გადატრიალების გამართლებით. ამ ამოცანის შესრულებაში სააკაშვილი კარგად იყენებს ახალ მემკვიდრეს ნიკანორ მელიას, რომელიც ასევე კანონგარეშე აყენებს თავს და არ აღიარებს პარლამენტის შტურმს და იქეთ ადანაშაულებს ხელისუფლებას გავრილოვის ჩამოყვანაში, რომელიც მაშველ რგოლად იქცა ამ პროვოკატორული ძალისათვის. ძნელია დაიჯერო, სამშობლო აწუხებდეთ იმათ, ვინც 10 წელი ყველა მტერზე უარესი დღე აყარა ქართველ ხალხს და გენოციდი მოუწყო. სამწუხაროდ, მელია გახდა თავისუფლების სიმბოლო, რომლის დაკავება-არდაკავება უკავშირდება სქართველოს მომავალს, ნატოში თუ ევროკავშირში შესვლას და ა.შ. ნიკა მელიას დანაშაული მონაგონია სააკაშვილის დანაშაულებთან, რომელსაც დსავლეთი დღემდე რატომღაც იცავს. რა ბედი ელის ქვეყანას, რომლის მთავარი ოპოზიცია ასეთი დესტრუქციული ძალაა..

ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მტერი სიღარიბეა, ამის მაგალითია საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლის მსურველთა უდიდესი რაოდენობა. ასეთ დროს ქვეყანაში პოლიტიკური ბატალიები არ წყდება. ყველაფერი იმან განაპირობა, რომ „ოცნებამ", ჩატოვა ხალხი, რომელმაც „ნაცების" ჩამოგდებას ყველა რესურსი მოახმარა, „ნაცებთან" კოჰაბიტაციით უფრო მეტად პირადი საქმე აკეთა, ხალხი კი სამოქალაქო ომამდე მიიყვანა. ფსევდო ოპოზიცია მოსალოდნელი არეულობის ერთ-ერთი თაოსანია. ასეთ ფონზე, სამწუხაროდ, ისევ ისმის ტრაბახი დემოკრატიულ და ეკონომიკურ მიღწევებზე, თუმცა, იგი არ არის კავშირში ხალხის კეთილდღეობასთან. თითქოს დემოკრატია ცალკეა, ხალხი - ცალკე, ანუ ხალხი დემოკრატიის ანტურაჟია. ასევე ეტრაბახობთ ევროპული კონსტიტუციით, ამ დროს იგი სააკაშვილისთვის უბის წიგნაკი იყო. გვაქვს კარგი კანონები, რომელსაც ასევე არ ვასრულებთ, გვაქვს ბიბლია, მაგრამ მისი დაისიც არც ისე შორსაა. არადა შეგვეძლო ცხოვრება ევროპული ღირებულებებით, ამის ათვლის წერტილი უნდა ყოფილიყო 2012 წელი, როცა საქართველო გადაურჩა დამნაშავე რეჟიმის უბედურებას. წარმოიდგინეთ ესენი კიდევ ათი წელი, საქართველო, ალბათ, არც იარსებებდა. ეს არ უნდა დავუკარგოთ ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც რისკისქვეშ დააყენა საკუთარი თავი და ოჯახიც. სამწუხაროდ, ისიც ავტორიტარიზმის გზას დაადგა, არ შეიძლება ერთი კაცი მართავდეს ქვეყანას, რომლის სიმდიდრეც ქვეყნის ბიუჯეტზე მეტია.

30 წლის განმავლობაში ხელისუფლებები მოდიოდნენ ხან ეროვნულ, ხან სოციალურ, ხან რევოლუციურ ტალღაზე. იყო ზვიადი, ედუარდი, მიშა, ბიძინა. ვერცერთი ვერ აცდა ერთპიროვნულ მართველობას.

შეიძლება ითქვას ხელისუფლების სამ შტოსთან ერთად გაჩნდა მეოთხე, და ეს მეოთხეა პარტია, რომელიც შეერწყა სახელმწიფოს, ის განაგებს პარლამენტს, მთავრობას, სასამართლოს. ამდენად ასეთი დემოკრატია არ ემსახურება ხალხის ინტერესებს. ვერც ოპოზიცია ჩამოყალიბდა სახელმწიფოს სტატუსით, სახელმწიფო მიზნებით, როცა ორიენტირი ქვეყნის კეთილდღეობაა. ამდენად, ხალხი მათ არ დაუჭერს მხარს, მით უფრო ნაციონალებს, რომლებიც ყველაფერზე არიან წამსვლელები ქვეყნის დაქცევის ფასადაც, ეს კარგად იცის ხალხმა. ეს რეჟიმი უნდა გასამართლდეს და ეროვნული ძალები უნდა მოვიდნენ ხელისუფლებაში.

ქვეყანას, ეს 30 წელი მართლაც რომ დემოკრატიის გზით ევლო, ურთიერთგაგებით, თანამშრომლობით და არა ამბიციებითა და მტრობით, არც სამოქალაო ომი იქნებოდა, არც ზვიად გამსახურდიას გაწირავდნენ, არც ნეოფაშისტები მოვიდოდა ხელისუფლებაში და არც ტერიტორიებს დავკარგავდით, განწირული ხალხიც არ დტოვებდა ქვეყანას.

დღეს ბრძოლა მიმდინარეობს სამი მიმართულებით-ენა, მამული, სარწმუნოება. ცდილობენ ეკლესიისა და სახელმწიფოს გათიშვას. არადა, ქართული სახელმწიფო ოდითგან სარწმუნოებას ეფუძნება, ქრისტიანობა და ქართველობა იდენტურია. ეკლესიაც ვალდებულია ხმა აიმაღლოს, როცა სახელმწიფო აცდენილია ტრადიციულ ოროენტირებს, აქ ერი და ბერი ერთიანია, რწმენის დაცემით ერიც და ქვეყანაც ეცემა. ამით გასაგებია ეკლეიისა და სახელმწიფოს ერთიანობის მნიშვნელობა.

ქვეყანა ყველას საზრუნავია!
„სამშობლო, როგორც უფალი,
ერთია ქვეყანაზედა".

ზ. აბრალავა

ფოთში შეიქმნა, ცნობილი სახელმწიფო, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის, გერონტი კუხალეიშვილის სახელობის ფონდი

გერონტი (ჯუკა) კუხალეიშვილის გარდაცვალებიდან 2 წელი გავიდა. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით ქალაქ ფოთში გაიხსნა ფონდის ახალი სივრცე.

ფონდის დამფუძნებლის **გიორგი კუხალეიშვილის** გადაწყვეტილებით დაწესდა "ფონდის მეგობრების" სპეციალური ფულადი ჯილდო, რომელიც პირველად გადაეცა ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქეს, გერონტი (ჯუკა) კუხალეიშვილის მეგობარს, ცნობილ პოეტსა და პედაგოგს,საქართველოს მწერალთა კავშირის წევრს, ფოთის საპატიო მოქალაქეს, ქალბატონ **ლუიზა ჩხეტიას.**

ჯილდო ფონდის სახელით გადასცა, ფონდის მმართველმა **მარიამ მილორავამ.**

ქალბატონი ლუიზა ნიკო ნიკოლაძის საზოგადოების თავმჯდომარე **გიორგი ფარეშიშვილმა** ასევე დააჯილდოვა "ნიკო ნიკოლაძის 175 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო მედლით"

ღონისძიებას ბატონი გერონტის მეუღლე ქალბატონი **გულიკო ქორიძე,** შვილი **ლელა კუხალეიშვილი** და ბატონი გერონტის (ჯუკას) მეგობრები ესწრებოდნენ.

რიონზე ახალი ხიდი შენდება

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მოსახლეობასთან შეხვედრა გამართეს

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სხდომათა დარბაზში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მოსახლეობასთან შეხვედრა გამართეს, სადაც მდინარე რიონზე გადასასვლელი საავტომობილო ხიდის მშენებლობის პროექტი განიხილეს და მის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

მდინარე რიონზე დაგეგმილი საავტომობილო ხიდისა და მისასვლელი გზების სიგრძე ჯამში ორ კილომეტრამდე იქნება. ხიდის სიგრძე კი, 432 მეტრს შეადგენს.

შეხვედრას ქალაქ ფოთის მერის მოადგილე პაატა ლაგვილავა ესწრებოდა.

ამჟამად არსებული გზა გადის ჰიდროკვანძზე, რომლის ტექნიკური პარამეტრები ვერ აკმაყოფილებს ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ და უსაფრთხო გადაადგილებას. ახალი ფოლად-რკინა-ბეტონის 8 მალიანი ხიდის მშენებლობა მოაგვარებს არსებულ პრობლემებს და ფოთის მიმართულებით, მაღალი ინტენსივობის საერთაშორისო მნიშვნელობის გზაზე უსაფრთხო საავტომობილო მგზავრობისა და შეუფერხებელი სატრანზიტო მიმოსვლის უზრუნველყოფას შეუწყობს ხელს.

პროექტს აზიის განვითარების ბანკი აფინანსებს.

ფოთის ხიდი, ჩქაროსნული ავტომაგისტრალის შემადგენელი ნაწილია. 60- 70 ჩქაროსნული ავტომაგისტრალი უმოკლესი დამაკავშირებელი გზაა ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის. მაგისტრალის ფიზიკური მდებარეობა უზრუნველყოფს, რომ ის გახდეს ძირითადი სატრანსპორტო რგოლი შავ ზღვას, კასპიის ზღვასა და ცენტრალურ აზიას შორის.

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული მალხაზ თორია, მის მოადგილეებთან ერთად რეგიონის მერებს შეხვდა

სამეგრელო - ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა შეხვედრაზე ხაზი გაუსვა რეგიონში არსებულ მთავარ გამოწვევებსა და საჭიროებებს, ისაუბრა მოსახლეობასთან უშუალო კომუნიკაციით დღის წესრიგში მდგარი საკითხების დროულ და ეფექტურ გადაჭრაზე.

როგორც მალხაზ თორიამ შეხვედ-რაზე აღნიშნა, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია და ადგილობრივი ხელისუფლება, მთავრობასთან მჭიდრო თანამშრომლობით განახორციელებს იმ პროექტებს, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და არსებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას.

ამჟამად ისევე, როგორც მთელს საქართველოს, ასევე სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარ ამოცანას წარმოადგენს პანდემიასთან ბრძოლა, ამავდროულად ეკონომიკის აღდგენა, მისი გაჯანსაღება, პანდემიის პერიოდში ინფრასტრუქტურული პროექტების, სახელმწიფო თუ მუნიციპალური სერვისების შეუფერხებლად განხორციელება, თითოეული მოქალაქის საჭიროებებსა და პრობლემებზე დროული რეაგირება და ზრუნვა. სწორედ ამ პრიორიტეტებით და საკითხებით ვაპირებთ რეგიონში მუშაობას და მის კიდევ უფრო წინ წაწევას"- განაცხადა მალხაზ თორიამ.

ფოთში წყალარინების გამწმენდი ნაგებობისა და წყალარინების ქსელის მშენებლობა მიმდინარეობს

ქალაქ ფოთში წყალარინების გამწმენდი ნაგებობისა და წყალარინების ქსელის მშენებლობა მიმდინარეობს. პროექტებს აზიის განვითარების ბანკი აფინანსებს.

სამუშაოების მიმდინარეობას სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული მალხაზ თორია, ფოთის მერი გოჩა კურდღელია, წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი გიგა მანდარია, მერის პირველი მოადგილე კონსტანტინე თოფურია და სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე დავით ვერავა გაეცნენ.

წყალმომარაგების კომპანია ფოთში, ორ მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტს ახორციელებს, რაც ქალაქში სრულიად ახალი წყალარინების სისტემების მოწყობასა და თანამედროვე გამწმენდი ნაგებობის მშენებლობას გულისხმობს.

„ამ დროისთვის, წყალმომარაგების კომპანია ფოთში ორ მსხვილ პროექტს ახორციელებს. პირველი ეს არის გამწმენდი ნაგებობა, რომელიც ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, მნიშვნელოვნად შეამცირებს გარემოს დაბინძურების რისკებს რეგიონში და მეორე პროექტი ეს არის წყალარინების ქსელის მოწყობა ქალაქში. ამ ნაწილში კონტრაქტორი მუშაობს ნელი ტემპით და გრაფიკთან მიმართებაში აქვს ჩამორჩენა. მათ მივეცით გარკვეული მითითებები, რომ ტემპი დროულად გამოასწორონ. სამუშაოები ითვალისწინებს 145 კმ საკანალიზაციო ქსელის მოწყობასა და 28 ერთეული სატუმბი სადგურის მშენებლობას“ - განაცხადა მალხაზ თორიამ.

ფოთის წყალარინების ქსელის მოწყობისთვის 35 მილიონი ევრო, ხოლო საკანალიზაციო სისტემის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობისთვის დონორი ორგანიზაციის მიერ დაახლოებით 55 მილიონი ლარია გამოყოფილი.

„ქალაქის წყალარინების გამწმენდის ნაგებობის მშენებლობის ტემპი დამაკმაყოფილებელია და დაახლოებით სამუშაოების 80 % შესრულებულია. თუმცა, წყალარინების ქსელის რეაბილიტაციის პროექტში კონტრაქტორს აქვს ჩამორჩენები. გვაქვს გარკვეული შენიშვნები მათთან. შესაბამისად, დაიგეგმა შეხვედრა მშენებელი კომპანიის ხელმძღვანელობასთან, რომლებიც საქართველოში თებერვლის ბოლოსთვის ჩამოვლენ და გვექნება დეტალური განხილვა იმაზე თუ, როგორ შეძლებენ ისინი უახლოეს პერიოდში ამ პრობლემის გადაჭრას'' - განაცხადა გიგა მანდარიამ.

ქალაქში ახალი ალტერნატიული შემოვლითი გზის მშენებლობის საკითხზე შეხვედრა გაიმართა



ფოთში არსებულ და მშენებარე საავტომობილო გზებზე, ფოთის ნავსადგურ-ტერმინალებთან და საპაროსთან დამაკავშირებელი, ახალი ალტერნატიული შემოვლითი გზის მშენებლობის საკითხზე, მუნიციპალიტეტის მერიასა და თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ხელმძღვანელებს შორის სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდღელია, მერის პირველი მოადგილე კონსტანტინე თოფურია, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის დირექტორი დავით ებრალიძე, ფოთის ოფისის ხელმძღვანელი დავით ბზიავა ესწრებოდნენ. შეხვედრაზე, ინდუსტრიული ზონის ინჟინრებთან ერთად, ალტერნატიული გზის მშენებლობის პროცესში თიზ-ის ჩართულობასა და სხვა ტექნიკურ საკითხებზე იმსჯელეს.

ფოთის ნავსადგურში გაზრდილმა ტვირთბრუნვამ, მძიმეწონიანი ავტომობილების გადაადგილების ინტენსივობამ, ახალი საწარმოების მშენებლობამ, დღის წესრიგში დააყენა ალტერნატიული, შემოვლითი, გზის მშენებლობის აუცილებლობა, რომელიც ნავსადგურის ტერმინალებს, თავისუფალ ინდუსტრიულ ეკონომიკური გაფორმების ზონებს, ქალაქის დასახლებული უბნების გვერდის ავლით ცენტრალურ ავტომაგისტრალთან დააკავშირებს.

საქართველოს მთავრობის მეთაურის გიორგი გახარიას განკარგულებით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 250 ათასი ლარი, რის საფუძველზეც საავტომობილო გზების დეპარტამენტმა გამოაცხადა ტენდერი შემოვლითი-სატრანზიტო გზის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების დოკუმენტის შემუშავებაზე. აღნიშნულ დოკუმენტზე, ტენდერში გამარჯვებული კომპანია, შპს „კოკს კონსალტის“ საქართველოს ფილიალი მუშაობს.

ქალაქში სავაჭრო ცენტრი „კარფური“ გაიხსნა

ფოთში „ვისოლ ჯგუფის“ შვილობილმა კომპანია „em pe developmentma“ სავაჭრო ცენტრი გახსნა. განთავსებული არქიტექტურისა და დიზაინის მქონე „Poti Mall“ -ი 3000 კვადრატულ მეტრს მოიცავს და საკუთარ სივრცეში მულტინაციონალურ და ადგილობრივ ბრენდებს აერთიანებს.

ფოთში სავაჭრო ცენტრის შექმნისთვის „ვისოლ ჯგუფმა“ 6 მილიონ ლარამდე ინვესტიცია განახორციელა.

„Poti Mall“-ის გახსნას სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული მალხაზ თორია, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და „ვისოლ ჯგუფის“ ვიცე-პრეზიდენტი ლევან ფხაკაძე დაესწრნენ.

კარფურის ახალი მარკეტი მომხმარებელს მაღალი ხარისხის საკვები პროდუქციისა და საყოფაცხოვრებო საქონლის სხვადასხვა სახეობას სთავაზობს. მათ შორისაა სურსათის და ჯანსაღი კვების, ბავშვის მოვლის, ჯანმრთელობისა და პირადი ჰიგიენის საშუალებები, კარფურის მიერ წარმოებული ექსკლუზიური ფრანგული პროდუქცია და მრავალი სხვა.

„Poti Mall“ -ი ფრანგული ბრენდი “კარფურით“, „ფარმადეპოს“ აფთიაქით, საოჯახო ტექსტილის კომპანია TAÇ/Manamo-s მაღაზიებით, სწრაფი კვების ობიექტებით, სამკაულებისა და კოსმეტიკური საშუალებების კუთხეებით ყოველდღიური საყიდლებისა და დასვენებისთვის უაღრესად მომხიბვლელი სივრცეა.

კარფურის ახალი ფილიალი, ფოთი მოლში - მშვიდობის ქუჩის 2-ში მდებარეობს და ის მომხმარებლებს ყოველდღე, 9:00 დან ღამის 19:30 - საათამდე მოემსახურება.

ბრენდის გაფართოებამ, განსაკუთრებით COVID-19 პანდემიის ფონზე, კიდევ უფრო გაუსვა ხაზი მის მზადყოფნას, გაზარდოს ქართველი მომხმარებლებისათვის განსაკუთრებული, ხარისხიანი პროდუქციის ხელმისაწვდომობა, კომფორტული და უსაფრთხო გარემოს შექმნით.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია და წითელი ჯვრის საზოგადოება ერთობლივი სოციალური პროგრამების განხორციელებას გეგმავს



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს გოჩა კურდღელიასა და წითელი ჯვრის ორგანიზაციის ფილიალების განვითარების განყოფილების უფროსს ნინო სამადალაშვილს შორის ონლაინ შეხვედრა შედგა, რომელზეც ურთიერთთანამშრომლობის საკითხები იქნა განხილული.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია წითელი ჯვრის ორგანიზაციასთან მემორანდუმს გააფორმებს, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული სხვადასხვა სოციალური პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებას.

ქალაქში, უეფას მესამე კატეგორიის სტადიონის სამხრეთ და ჩრდილოეთ ტრიბუნის მოწყობის და სათადარიგო ხელოვნურ-საფარიანი მოედნის მშენებლობის სამუშაოები დასრულების ეტაპზეა

ქალაქ ფოთში, უეფას მესამე კატეგორიის სტადიონის სამხრეთ და ჩრდილოეთ ტრიბუნის მოწყობის და სათადარიგო ხელოვნურსაფარიანი მოედნის მშენებლობის სამუშაოები დასრულების ეტაპზეა, რომლის პროცესს ფოთის მერი გოჩა კურდღელია პირველ მოადგილესთან კონსტანტინე თოფურიასთან ერთად გაეცნო.

პროექტის ფარგლებში, შენდება ცენტრალური სტადიონის 2740 მაყურებელზე გათვლილი სამხრეთ და ჩრდილოეთ ტრიბუნა. ასევე, დაგეგმილია ხელოვნურსაფარიანი სათადარიგო მოედნის მოწყობაც.

ტრიბუნის ქვეშ ეწყობა გასახდელები, სველი წერტილები, სწრაფი კვების სივრცეები და სხვა სამეურნეო სათავსოები. დამონტაჟდება ძირითადი სტადიონის განათების, გახმოვანებისა და სახანძრო სისტემები, მოეწყობა სპეციალური სივრცეები ტელერეპორტაჟებისთვის. სამხრეთ ტრიბუნაზე კი დამონტაჟდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ლედტაბლო.

ახალი სტადიონი ქალაქისა და რეგიონის ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდის მხარდაჭერით და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 5.3 მლნ ლარია.

მარტოწყალას ტბაზე სათევზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები განხორციელდა

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის შენობაში, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)-ის „რეგიონალური და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში-ფაზა 2“-ის პროექტის რეგიონალური შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე პროექტის ფარგლებში 2020 წელს განხორციელებული და მიმდინარე წელს განსახორციელებელი პროექტები განიხილეს.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)-ის ფარგლებში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით მარტოწყალას ტბაზე სათევზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები განხორციელდა.

პროექტის ფარგლებში მოეწყო საჩრდილობლები, ვიზიტორთა და მეთევზეთა მომსახურების ცენტრები, პირსი.

პროექტი უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც სპორტული თევზჭერის, ისე ტურისტული განვითარების კუთხით.

ფოთში საზოგადოებრივი ტრანსპორტი სპეციალური სადეზინფექციო ხსნარებით მუშავდება

კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, ფოთში საზოგადოებრივი ტრანსპორტი სპეციალური სადეზინფექციო ხსნარებით მუშავდება. სამუშაო დღის ბოლოს სპეციალურად გადამზადებული თანამშრომლები დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტის მიერ რეკომენდებული სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით ამუშავებენ ავტობუსებს და სამარშუტო ტაქსებს, რათა მომდევნო სამუშაო დღეს ამ სატრანსპორტო საშუალებებით მგზავრების გადაადგილება იყოს უსაფრთხო.

მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ვირუსული ინფექციის გავრცელების რისკის შესამცირებლად, მუნიციპალიტეტში სადეზინფექციო სამუშაოები გაგრძელდება.

რეკომენდაციების დაცვის კონტროლს შესაბამისი ორგანოები უზრუნველყოფენ.

ბატონ ნუგზარ ნადარაიას ხსოვნას

1945 წლის 26 თებერვალს დაიბადა დიდი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე ნუგზარ ნადარაია

ლეგენდად დარჩა...

სამწუხაროდ, წარსულ დროში გვიხდება წერა ამ დიდ პიროვნებაზე.

რა სწრაფად გაირბინეს წლებმა და დაგვიტოვეს დიდი გადასახედი.

წლები ჩემი სიმდიდრეა-თამამად შეეძლო ეთქვა ბატონ ნუგზარს, მაგრამ ჩვენ უფრო შორს წავალთ, რამეთუ ეს წლები ქვეყნის სიმდიდრეცაა, დატვირთული სახელმწიფოებრივი ზრუნვით ახალგაზრდობიდან ჭარმაგობამდე. ორ წყობაში, ორ საუკუნეში იცხოვრა და დაამტკიცა, რომ კარგი საქმის კეთება ყველა დროში შეიძლება.განსაკუთრებით აღსანიშნავია თავდაუზოგავი მოღვაწეობა ქვეყნის აღმშენებლობისათვის ხობსა და ბათუმში.შემდეგ კი ეროვნულ - საზოგადოებრივი და - სამეცნიერო საქმიანობა ,,ფაზისის" აკადემიის პრეზიდენტის რანგში. ბნ-ი ნუგზარის ინიციატივით წმინდანებად შერაცხეს გიორგი ჭყონდიდელი და ცოტნე დადიანი. ფოთში მერად მოღვაწეობის დროს სამეგრელოს მოედანზე დაიდგა ზნეობრივი გმირის ცოტნე დადიანის ძეგლი.

კოლხეთის ისტორიის კვლევას მიეძღვნა აკადემიის ჟურნალ ,,ცოტნეიდელის 10 ტომი,, ბატონ ნუგზარ ნადარაიას კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო ქვეყნის საკეთილდღეოდ, მაგრამ მოულოდნელად გარდაიცვალა.

****

აი, რას ვისურვებდი!

ჩვენი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი, დიპლომატიური და ახსნა-განმარტებითი დიალოგის გზით აღდგენას, ქვეყნის აღდგომასა და გაბრწყინებას, ანუ მაღალი ღმერთის მადლით ,,მზინ ღამეს, ვითარცა აღსდგა წმინდა ლაზარე. ჩვენი მამულის სოციალურ-ეკონომიკური კულტურულ-სპორტულ აღმავლობას, ერის გამრავლებას; საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის წმინდა ილია მეორე აღმაშენებლის ჯანმრთელობასა და მრავალჟამიერ სიცოცხლეს, ყოველთა ქართველთა გასახარად და საამაყოდ; მის უწმინდესობას გვერდით დადგომოდეს ღვთის მადლითა და ნებით მესია წმინდა მეფეთ მეფე დავით აღმაშენებლის ტოლფასი, ერის პატრონი და წინამძღოლი; წმინდა გიორი ჭყონდიდელის და წმინდა დავით აღმაშენებელის ისტორიული ტანდემის ქართული რენესანსის ეპოქის განმეორებას; წიგნთა უპირველესი წიგნის ბიბლიისა და შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსნის" საკაცობრიო ცივილიზაციის მშვენი, ისტორიული გმირების, მაღალი გზნებით, აფორიზმების ცხოვრებაში რეალიზაციას, ამაღლებული ზნეობის, პატრიოტიზმისა და მამულიშვილობის სულიერებით და ნიჭის უფლებით ,,ფულის უფლებაზე" გამარჯვებას; ჩემი მეგობრების ოჯახების გამრავლებას, ბედნიერებას და გამარჯვებას; ჩემი უსაყვარლესი შვილიშვილის ნინოს ძმის -ცოტნე ნადარაიას დაბადებას და და-ძმის ჭყონდიდელ- ცოტნეიდელებად აღზრდას, რათა იყვნენ ქრისტეს გულმხურვალედ მოყვარულები და მოშიშნი ღვთისა, განამტკიცონ მართლმადიდებლობა მათ გარშემო მყოფ დადნაფიცებსა და ძმადნაფიცებში, დაამარცხონ შადიმან-ფარსადანობა, პირნათლად აღასრულონ უფლის მცნებანი და დადონ სული თვისი მოყვასის, მამულისა და დედაეკლესიის სადიდებლად... ამინ!*

ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირზე ქაშვეთის 100 წლოვანი ტაძრის წინ, ილიას და აკაკის ერთობლივი ძეგლის ანალოგით დავდგა: მცხეთაში, ზუგდიდსა და არქეოპოლისში (სენაკი) იმერ-ამერის ერთიანობის სიმბოლოდ ქცეული ფარნავაზისა და ქუჯის ერთობლივი ძეგლები და მონაცვლეობით ყოველი წლის 14 აპრილს-დედაენის სახალხო დღესასწაულის დღეს, მორიგეობით დასახლებულ გეოგრაფიულ ცენტრებში ჩამატარებინა სახალხო დღესასწაულები- ,,ფარნავაზი და ქუჯი -ქვეყნის ორი დასაყრდენი და გამაერთიანებელი ბურჯი"... ამინ! ასევე, ლევან დადიანის ძეგლი წალენჯიხაში, სადაც დაკრძალულია დიდი მთავარი; მარტვილში კი საქართველოსთვის ზვარაკად შეწირული წმინდა კათოლიკოს პატრიარქის ამბროსი ხელაიას სახლ-მუზეუმი ამაგებინა და კეთილმომაწყობინა მისი კარმიდამო; მესიის-მეფედ მეფის წმინდა დავით აღმაშენებლისა და მისი აღმზრდელის, გიორგი ჭყონდიდელის (გ. ბედია) ერთობლივი ძეგლი დამადგმევინა მარტვილში, იმ მთაზე, რომელზედაც დაბრძანებულია ჭყონდიდის ეპარქიის ისტორიული საკატედრო ტაძარი, შესაბამისი მასშტაბის ქრისტეს ჯვრის გამოსახულებით, რომელიც თავისუფლად აღიქმება ბარიდან, რამეთუ, გადმოჰყურებენ რა სრულიად კოლხეთს; დამამთავრებინა კონსტანტინე გამსახურდიას კაპიტალური სახლ-მუზეუმის დაწყებული და წლების განმავლობასი დაკონსერვებული მშენებლობა, კეთილ მომაწყობინა მისი კარმიდამო აბაშაში;ხობში დამადგმევინა ,,მოკავშირე" ბერძენთა მიერ მუხანათურად, მოწამლული ისრით განგმირული და კოლხეთისთვის თავშეწირული ლაზი გუბაზ მეფის ძეგლი; ჩამატარებინა ზემოთდასახელებული მამულიშვილების ღვაწლის პატივგების ნიშნად სახალხო დღესასწაულები, დამარქმევინა ქალაქ ფოთისთვის ისტორიული სახელი ფაზისი.

თუ ეს სურვილები, ვინმეს ერთი კაცისთვის გადაჭარბებულად, არარეალურად და მიუღწევლად მოეჩვენება, ვისურვებდი, რომ ჩემს შთამომავლობას განეხორციელებინოს ყოველი და სამოქმედო ანდერძად დაეტოვებინოს თავისი ნაშიერისათვის.

დაე, ქვეყანას და ქართველ ხალხს აღაფრთოვანებდეს, რაზმავდეს და სამოქმედოდ განაწყობდეს მაღალი ზნეობა, უფლის სიყვარული და დამსახურებული მადლი გადმოსული მართლმადიდებელ ქართველ ქრისტიანებზე... ამინ!

გაზეთმა ,,ფაზისმა", (რედაქტორი ირინა ასათიანი) სპეციალური ნომერი მიუძღვნა ნუგზარ ნადარაიას, სადაც არის ცნობილი ადამიანების მილოცვები და შთამბეჭდავი პუბლიკაციები, წერილები.

აქვე გთავაზობთ რამდენიმე წერილს.

ფაზისი
PHAZISI
სპეციალური გამოფენა. ეძღვნება ბატონ ნუგზარ ნადარაიას ხსოვნას
ლეგენდად დარჩა!..

შესანიშნავი, მისაბაძი ადამიანი

,,ამ ჭნელი ლაქით ვიღაც ლადის
საქართველოში.
ამ ჭნელი ლაქით ვიღაცა ჩვენის.
ვახსენოთ ჩვენ ის ყანანაჭნელ
საღლეგონძელოში.
საღლეგონძელოში ვახსენოთ ჩვენ ის"...

დიდი ტკივილია და ეს ტკივილი მინდა გამოვხატო და გაგიზიაროთ.

75 წლის ასაკში გარდაიცვალა შესანიშნავი ადამიანი, ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, ქველმოქმედი, დიდ საქმეთა თაოსანი, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი ბატონი ნუგზარ ნადარაია.

მე-20 საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ცნობილ მოაზროვნეს გიორგი გურჯიევს აქვს წიგნი „შეხვედრები შესანიშნავ ადამიანებთან", სადაც ის აანალიზებს იმ ადამიანთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას, რომლებიც, მისი შეხედულებით, იყვნენ განსაკუთრებით მნიშვნელოვანნი იმ დროისა და ეპოქისთვის, ე.ი. პიროვნებები დროში და რომლებმაც წარუშლელი და განსაკუთრებული შთაბეჭდილებები დატოვეს მასზე, როგორც პიროვნებაზე.

გურჯიევმა შემთხვევით არ უწოდა მათ „შესანიშნავი",რადგან სხვა ეპითეტებით: „პოპულარული", „დიდი", „გამოჩენილი", „ცნობილი", „ნიჭიერი", „გმირი" და სხვ... შესაძლებელია ბევრი დაუმსახურებლადაც შეამკოს საზოგადოებამ და ამით დიდ ცოდვას არც ჩაიდენს... რაც შეეხება სიტყვას „შესანიშნავი", ის ვექტორულად მიმართულია იმ პიროვნებისკენ, რომელსაც დამსახურებისამებრ, გამორჩეულად ეკუთვნის ასეთი შეფასება... ასეთ ადამიანთა რიცხვს, უდავოდ, მიეკუთვნება ბატონი ნუგზარ ნადარაია.

ბატონმა ნუგზარმა მთელი თავისი ცხო ვრებით, შრომითა და თავდადებით საზოგადოებას უჩვენა და საქმით, პირადი მაგალითით, დაუმტკიცა, რომ ის მართლაც შესანიშნავი ადამიანია. შესანიშნავია იმით, რომ მიუხედავად განვლილი გზისა და საზოგადოებაში მისი მდგომარეობისა (ბატონ ნუგზარს ახალგაზრდა ასაკიდან ყოველთვის ხელმძღვანელ თანამდებობებს ანდობდნენ, რადგან სჯეროდათ, ის ამ დიდ ნდობას უთუოდ გაამართლებდა), ის ნებისმიერ ადამიანში, განურჩევლად მისი სტატუსისა, თანაბრად ეძებდა ადამიანს, მის პიროვნულ და პროფესიულ თვისებებს, სულიერებას და არა სახელს თუ თანამდებობას. ამიტომაც უყვარდათ და აფასებდნენ მას სამეგრელოში, აჭარაში, აფხაზეთში, სამაჩაბლოში, ქართლ-კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, გურიაში, რაჭა-ლეჩხუმში, მთაში თუ ბარში, მთელს საქართველოში...

არ შევეცდები ჩამოვთვალო ის დიდად მნიშვნელოვანი საქმეები, რაც მას ადამიანისთვის, სამშობლოსთვის, ერისა თუ ბერისთვის უკეთებია, მხოლოდ რამოდენიმეს გამოვყოფ: ხობის რაიონის აღმშენებლობა; აჭარაში ქრისტიანული ტაძრების ბალავარის ჩაყრა; ფოთში ცოტნე დადიანის ძეგლის აღმართვა (მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი, არქიტექტორი ვახტანგ დავითაია); საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II მხარდამხარ უღალატოდ თავდადებული მოღვაწეობა; დიდი ქართველი მამულიშვილების გიორგი ჭყონდიდელის და ცოტნე დადიანის სახელების უკვდავყოფა (მისი დიდი მცდელობით და აქტიურობით საქართველოს

ბატონი ნუგზარ ნადარაია თეატრის ცნობილ ქართველ მოღვაწეთა შორის ხობის რაიონის ხელმძღვანელად მუშაობის პერიოდში.

ეკლესიის წმინდა სინოდმა შერაცხა ისინი წმინდანებად); ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ფუნქციონირების აღდგენა, მისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება და თავკაცობა. სწორედ, ამ აკადემიის წევრობით დღეს საქართველოს ყველა კუთხის ბევრი წარმომადგენელი ამაყობს...

ბატონი ნუგზარის თავკაცობით და ინიციატივით საქართველოს თითქმის ყველა რაიონში, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ეგიდით, ტარდებოდა სამეცნიერო კონფერენციები, სახალხო დღესასწაულები, მხარეთა შორის მეგობრობის „გადაძახილები". ის გახლდათ დუღაბი ქართველთა ერთიანობისა და სხვადასხვა კუთხის წეს-ჩვეულებათა, ეროვნული ხასიათის, სტუმარ-მასპინძლობის გაზიარებისა.

ბატონი ნუგზარის თაოსნობით, საპატრიარქოს ხატმწერთა მიერ, პირადად პატრიარქის და ეპისკოპოსთა ლოცვა-კურთხევით, დაიწერა წმინდანთა უამრავი ხატი და არ დარჩენილა თითქმის არც-ერთი ეკლესია-მონასტერი, სადაც მას ეს ხატები თავისი ხელით არ დაებრძანებია.

ბოლოს მას 12 აგვისტოს ფოთში შევხვდი დიდგორობის ბრწყინვალე დღესასწაულისა და წმინდა ცოტნე აღმსარებლის ხსენების დღეს (ტრადიციულად, ის ამ დღეს ყოველ წელს აღნიშნავდა). როგორც ჩვეოდა ყველა საქმის ბრწყინვალე ორგანიზატორს, ეს დღეც შესანიშნავად ჩაატარა უახლოეს მეგობრებთან, თავის აღზრდილებთან და თანამოაზრეებთან ერთად. მომდევნო დღეებშიც ვუკავშირდებოდით ერთმანეთს ტელეფონის საშუალებით და ვგეგმავდით უახლოეს შეხვედრებს და ღონისძიებებს.

სამწუხაროდ, ეს ბოლო შეხვედრა იყო მასთან ამა სოფლად...

ღმერთმა გაანათლოს ბატონი ნუგზარის ვალმოხდილი, კაცთმოყვარე, მოწყალე, შემნდობი და დიადი სული, ამინ!

ალეკო დოლბაია,
ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის საგამომცემლო-პოლიგრაფიული სამსახურის ხელმძღვანელი

ნუგზარ ნადარაია-კაცი, რომელსაც დრო არ ეყო მოღვაწე

არც თუ ისე დიდი დროა გასული, რაც ჩვენს შორის აღარ არის კაცი, რომელიც დღედაღამ ქვეყნის წინსვლაზე ფიქრობდა.

ნუგზარ ნადარაიას ცხოვრებას და საქმიანობას ყველაზე კარგად, სწორედ მოღვაწის სახელი მოუხდება და მიესადაგება, რადგან იგი, ჩემი აზრით, უფალმა მისთვის მოავლინა დედამიწაზე, რომ ედვაწა, ეშრომა, სიკეთე და სიყვარული ეთესა. მთავარი მაინც ისაა, რომ ყოველივე ეს, უშურველად და ქრისტიანული მრწამსით აკეთა. დიახ, სწორედ რომ საუცხოოდ და ამავე დროს მისაბაძი ქრისტიანული ტრადიციების მიხედვით და მაშინაც, როცა ათეისტურ ეპოქაში ხობის რაიონს ხელმძღვანელობდა. მოგეხსენებათ, მაშინდელი ოფიციალური იდეოლოგია გამორიცხავდა სარწმუნოების მხარდასაჭერად რაიმე აქტივობის გამოვლინებას, მით უფრო, პარტიის რაიკომის პირველი მდივნის პოსტზე ყოფნისას. ჩვეული გულმოდგინებით იგი სათავეში ედგა ისტორიული ძეგლების, კულტურული მემკვიდრეობისა და ეკლესია-მონასტრების დაცვისა და აღდგენა-რესტავრაციის მამულიშვილურ საქმეს. ასე იყო აჭარაშიც, ბათუმში და ბუნებრივია, ასე იყო მაშინ, როცა სათავეში ედგა დიდ ეროვნულ და საზოგადოებრივ საქმეს - ფაზისის აკადემიას.

ბატონი ნუგზარი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორე აღმაშენებელის ლოცვა-კურთხევით თანამოაზრეებთან ერთად ინიციატორ-თაოსანი იყო ქვეყნის, ერისა და დედა-ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის ცოტნე დადიანისა და მღვდელმთავარ გიორგი ჭყონდიდელის (გ. ბედია) წმინდანებად კურთხევისა. ფოთში, სამეგრელოს აღდგენილ ისტორიულ მოედანზე, საქართველოს ეროვნულ-ზნეობრივი გმირის ცოტნე აღმსარებლის ძეგლის აღმართვისა და საქართველოში საეკლესიო-სახალხო დღესასწაულების: ცოტნეობისა და ჭყონდიდელობის დამკვიდრებისა...

საქართველო ნუგზარ ნადარაიას წარჩინებულ, აღიარებულ საზოგადო მოღვაწედ იცნობდა, რომელმაც თავისი უნიკალური თვისებებით ღრმა, სასიკეთო კვალი დაამჩნია ათეულათასობით ადამიანის ცნობიერებას და ცხოვრებას.

ასე როდი იყო ყოველთვის.

უზრუნველ ბავშვობასა და ყრმობას მეტად მძიმე განსაცდელი მოჰყვა - ჯერ კიდევ სკოლის მოწაფემ დაკარგა ახალგაზრდა მშობლები. ჯერ მამა, რესპუბლიკაში უკვე კარგად ცნობილი პიროვნება და შემდეგ დედა - შესანიშნავი ქალბატონი, უსაყვარლესი ექიმი - დასტაქარი. ობოლი და-ძმის გაზრდა ორმა დიდებულმა ბებიამ იკისრა, რომელთა ხსოვნას ნუგზარი დიდ პატივს მიაგებდა. ყოველთვის მოჭარბებული მადლიერებით იხსენებდა თავისი მშობლების მეგობრების მიერ გამოწვდილ ხელს, ყურადღებისა და გულისხმიერების ყოველ ფაქტს და ამაშიც იგი ბევრისგან სამაგალითოდ გამორჩეული იყო.

მე მას თავისი აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის დასაწყისიდან ვიცნობდი. 1975 წელს,სულ რამდენიმე თვის განსხვავებით, ჩვენ ძალზე ახალგაზრდულ ასაკში ორი დიდი რაიონის - იგი ხობის, მე კი გალის პირველი პირები აღმოვჩნდით. სხვათა შორის, რამოდენიმე წლის წინ ნუგზარის მამა, ბატონი ოთარი, ასევე ახალგაზრდა, გალის რაიკომის პირველი მდივანი იყო და ძალზე კარგი სახელი დაიმსახურა მოსახლეობაში. მოხდა ისე, რომ მე და ნუგზარი 1975 წლის ბოლოს ერთად აღმოვჩნდით მოსკოვის ოლქში, რესპუბლიკის დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც სწავლობდა მეცხოველეობის დარგის გაძღოლის პრაქტიკას. ერთკვირიანი მივლინება იმით დამთავრდა, რომ ორ გამოცდილ ქართველ კოლეგასთან - აღექსანდრე ბარასაშვილთან და მერაბ ჯაჯაიასთან ერთად გავხვდი უნებლიე მექორწილე - მაყარი. უკან მგზავრობისას თან წამოვიყვანეთ პატარძალი - მშვენიერი ფოთელი ექიმი (დედით გალელი) მანანა ქორიძე, რომელიც იმ დროს მოსკოვის ერთ-ერთ კლინიკაში მუშაობდა. ასე, პარტიული მივლინების „ხარჯზე“ იქორწინეს მანანამ და ნუგზარმა. იმ დღეებიდან ბევრი რამ სასაცილო მოსაგონარი დაგვრჩა, განსაკუთრებით იმის თაობაზე, თუ როგორ შეხვდა ამ მოვლენას პარტიის ცეკას ერთ-ერთი ორთოდოქსი თანამშრომელი. ქორწინების ფაქტმა სულ სხვა ხიბლი და შინაარსი შესძინა და გაცნობის პირველი დღეებიდანვე ჩაუყარა მყარი საფუძველი ჩვენს ურთიერთობას, რომელიც დღემდე გრძელდება. თვალს როცა ვავლებ წლებს, ჩვენი მშფოთვარე ცხოვრების პერიპეტიებს, ბევრი რამ ამოტივტივდება ზედაპირზე, ზოგი სამხიარულო და საბედნიერო, ზოგიც სამძიმო და მტკივნეული, მაგრამ ჩვენს დამოკიდებულებას არასოდეს შეხებია რაიმე ხინჯი, არ მახსენდება გადაულახავი სიძნელე და ამოუხსნელი საქციელი, რაც ჩვეულებრივ, სხვებთან მიმართებაში უხვად მოიძებნება ხოლმე. დამერწმუნებით, რომ ესეც ძალზე იშვიათი მოვლენაა, ცხადია, ცოცხალი ადამიანები ვართ, ათასი სირთულე და წინააღმდეგობა შეგვხვედრია წლების მანძილზე, სხვადასხვა, მკვეთრად განსხვავებულ სიტუაციაში და მდგომარეობაში ბევრი ადამიანური სისუსტე გამოგვივლენია, მაგრამ გულწრფელად უნდა ვთქვა, ნუგზარ ნადარაია ისეთი თვისებების მტკიცე მატარებელი კაცი იყო, როგორიცაა უღალატობა, ერთგულება, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეგნება. იგი, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო მოღვაწე იყო, ვისი ორგანიზატორული და შემოქმედებითი პოტენციალი ბოლომდე გამოუყენებელი დარჩა. სწორედ რომ ეს არის დასანანი და არა მხოლოდ პირადად მისთვის, არამედ ჩვენი ქვეყნისთვის. საშუალება მაქვს ათეული წლების განმავლობაში ახლოს ვიცნობდე სხვადასხვა თანამდებობის პირებს, რომელთაც მაღალი პოსტები ეჭირათ იმ გარდასულ დროშიც და დამოუკიდებლობის მიღების შემდეგაც. ბატონ ნუგზარს, პრაქტიკულად, ყველასგან გამოარჩევდა ნიჭი და უნარი ეკეთებინა დიდი, მასშტაბური საქმე, თანაც აღმაფრენით, ხალისით, შემოქმედებითი აღტყინებით, აიყოლიოს ადამიანები და აუცილებლად მიაღწიოს სასურველ მაღალ შედეგებს. გეკითხებით ამ სტრიქონების წამკითხველებს, განა განებივრებული ვართ ასეთი კადრებით? რატომ ხდება, რომ დიდი სახელმწიფო საქმეები ზოგჯერ აბსოლუტურად შეუსაბამო პიროვნებებს აბარიათ და შედეგებიც ხომ სახეზეა. სწორედ ამან და არა მხოლოდ ობიექტურმა სიძნელეებმა განაპირობა ის ჩავარდნები, რომელიც ასე უხვად მოიძებნება ჩვენს სინამდვილეში.

უკვე ვწერდი ზემოთ, რომ ნუგზარი ერთგული და უღალატო კაცია; არავის ახსოვს მისგან უსულგულო დამოკიდებულება, ჭირში და ლხინში იგი თანამდგომი, დარდისა და სიხარულის გამზიარებელია. ამას მხოლოდ საკუთარი გამოცდილებით არ ვამბობ. ყველას შეგიმჩნევიათ, რომ ცხოვრების გზაზე, აღმავლობისა და დაქვეითებისას მის გვერდით მუდამ იყვნენ სიყრმის მეგობრები, თანაკლასელები, თანაკურსელები, სამსახურისდროინდელი თანამშრომლები. იგი არასოდეს გადიდკაცებულა, არ გამხდარა უკარება და გულცივი. კარგად არის ცნობილი, ასეთი პიროვნება როგორ ადვილად უძლებს ცხოვრების განსაცდელს, წუთისოფლის სირთულეებს და როგორ კარგად შეირგებს იმ იშვიათ სიამტკიცლობას, რაც ძუნწად, მაგრამ მაინც ახლავს ჩვენს ცხოვრებას.

ერთიც უნდა ვთქვა - ბატონი ნუგზარი ვერ იტანდა ჩრდილში ყოფნას, კაცმა რომ თქვას, იგი არც არასდროს ყოფილა მეორეხარისხოვან პოზიციაში. იგი მჭქფარე და დაუდეგარი ადამიანი იყო და ამ თვისებებს უხვად ხარჯავდა მინდობილი საქმისა თუ დასახული მიზნის მისაღწევად. სწორედ ამიტომაა, რომ იგი ცხოვრებამ მართლაც გაანებივრა - საზოგადოებრივ პოლიტიკურ ასპარეზზე მიღწეულ წარმატებებთან ერთად მის ბიოგრაფიას ამშვენებს იდიდებული სამყარო - შესანიშნავი ოჯახი - მეუღლე, შვილი, რძალი, შვილიშვილი ერთგულ, მოყვარულ ადამიანთა წრე, ერთი შეხედვით, მეტი რა უნდა უნდოდეს ადამიანს.

70-იანი წლების ბოლოდან მე უკვე ფოთში მომიწია საქმიანობა და ახლო სამეზობლოდან უფრო კარგად ვხედავდი, რა ხდებოდა ხობის რაიონში, რომელიც ბატონი ნუგზარის წყალობით საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში, კულტურის მოღვაწეთა - თეატრალების, კომპოზიტორების, მხატვრების, მწერლების, მსახიობებისა და სპორტსმენების ნამდვილი სავანე გახდა... რამდენიმე წელიწადში ამ ახალგაზრდა კაცმა ხობის რაიონი აქცია ყველასათვის მიმზიდველ და საყურადღებო რეგიონად, რამაც



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II ერთად აჭარაში.

აქაურ ახალგაზრდობას შესანიშნავი ასპარეზი შეუქმნა.

არასოდეს წაიშლება მეხსიერებიდან მისი უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ხობში ჩატარებული არაერთი მასშტაბური კულტურული ღონისძიება, რომელიც გამოირჩეოდა ესთეტიკურ - შემეცნებითი დონითა და უნაკლო ორგანიზაციული უზრუნველყოფით.

შრომა, მოსახლეობის მაღალი შემოსავლები, სოფლის აღმშენებლობა, წინსვლა და განვითარება, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთნდობის ატმოსფერო - ყველაფერ ამას თვითონ ბატონი ნუგზარი უყრიდა საფუძველს და უპირველეს ყოვლისა, მთელი პასუხისმგებლობის თავის თავზე აღებით.

ხალხი ბრძენია. ნუგზარ ნადარაია დიდი პატივისცემითა და გულწრფელი სიყვარულით სარგებლობდა და დღემდე სარგებლობს ფართო საზოგადოებაში.

გვიხაროდა და გვეამაყებოდა შენი იუბილე, ძვირფასო ძმაო, რადგან შენ მას განსაკუთრებული ღვაწლით ხელდამშვენებული შეხვდი.

ნათელი არ მოკლებოდეს შენს ლამაზ სულს.

ბაკურ გულუა
ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, აკადემიკოსი

ვინ არის ნუგზარ ნადარაია

განვლილი 75 წლის გადასახედიდან

რამდენი დრო გასულა, თუმცა მნიშვნელობა არა აქვს რამდენს იცოცხლებ, მთავარია, როგორ იცოცხლებ: ძნელია ისაუბრო ნუგზარ ნადარაიაზე წარსულ დროში, დაწერო წონადი სიტყვა ადამიანზე, მასთან ერთად გატარებულ ნახევარსაუკუნოვანი ცხოვრების შესახებ, იმდენად რთული და მრავალწახნაგოვანია მისი მოღვაწეობა, რომელიც მან განვლო და რომლითაც თავისი მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია ჩვენს ქალაქს, სადაც დაიბადა.

მისი ქალაქის მერად მუშაობის პერიოდში, გვინდა გავიხსენოთ ზოგიერთი შტრიხი: ქალაქის საფეხბურთო გუნდ „კოლხეთი 1913“–ს ინტერტოტოს თაზე უნდა ეთამაშა, საერთაშორიო მატჩი. სამწუხაროდ, ევროპის ასოციაციის სპეციალისტებმა ქალაქის სტადიონი უვარგისად მიიჩნიეს და მატჩის ბათუმში ჩატარება გადაწყვიტეს, მაგრამ ბატონი ნუგზარი არ დაეთანხმა ჩამოსულ სტუმრებს, დაარწმუნა, ისინი, რომ მატჩი ჩვენთან გამართულიყო, მან შექმნა საქალაქო შტაბი, რომელსაც თავად ხელმძღვანელობდა, გაანაწილა სამუშაოები და როდესაც სპეციალისტები კვლავ ეწვივნენ ქალაქს, გაოცებას ვერ მალავდნენ. სტადიონი მზად იყო საერთაშორისო დონეზე. მატჩი შედგა!

აღსანიშნავია ისიც, ბატონი ნუგზარის ინიციატივით, ფოთში სამეგრელოს აღდგენილ ისტორიულ მოედანზე, აღიმართა სულმნათი ელგუჯა ამაშუკელისა და ვახტანგ დავითაიას ხელოვნების ნიმუში – ზნეობრივი გმირის ცოტნე დადიანის პირველი ძეგლი საქართველოში.

მოდერნიზებული ტელევიზია, საქალაქო გაზეთი, რომელიც კვირაში სამჯერ გამოდიოდა გაზრდილი ფორმატით, ამჟამად, სამწუხაროდ თვეში ერთხელ გამოდის. იმ გაჭირვების ჟამს დახმარება გაუწია პედაგოგებს და სპორტსმენებს, სტაჟისა და დამსახურების მიხედვით, ხელოვნების მუშაკებს, ახალგაზრდა ვოკალიტებს, მოცეკვავეებს კი გრანტით აფინანსებდა. ეს ხდება ორი წლის განმავლობაში. მის არაკეთილმოსურნეებს, რომ დაეცლიათ ბატონ ნუგზარისათვის მუშაობა, მერწმუნეთ, ქალაქი ფოთი სულ სხვა იქნებოდა: ინფრასტრუქტურის, კულტურის და ზნეობრივი თვალსაზრიით.

აი, ასეთი აღმაშენებელი ყავდა ჩვენს ფაზისს, როგორც იტყვიან: „მაგრამ ღმერთი არ გაწირავს კაცსა შენგან განაწირსა“. მასში გადმოსული იყო უფლის მადლი და ამ მადლს თავისთან არ იტოვებდა, გასცემდა და ყველას უწილადებდა.

როდესაც ბატონი ნუგზარი სათავეში ჩაუდგა ფაზისის საეროსამეცნიერო აკადემიას, აკადემიებს შორის უძველესს, ის თვისობრივად გარდაიქმნა და ამაღლდა, განავრცო მუშაობა მთლიანად საქართველოს ყველა კუთხეში. უანგაროდ, ჟურნალ „ცოტნეიდელის“ ათი ტომის გამოშვება რად ღირს, სადაც მთლიანად წარმოჩენილია ჩვენი უძველესი კოლხეთის ისტორია. ყველაფერი ეს შეუმჩნეველი არ დარჩა ერის სულიერ მწყემსს **ილია მეორე აღმაშენებელს**. მისი აღსაყდრების საზეიმო დღეს მასთან სტუმრობისას (უწმიდესი და უნეტარესი გახლავთ ფაზისის აკადემიის საპატიო პრეზიდენტი) მან აღნიშნა, როგორც ფაზისის აკადემია შრომობს, იღვწის საქართველოსათვის, ასევე რომ შრომობდნენ დანარჩენი აკადემიები, უკეთესი შედეგები ექნებოდაო ქვეყანას. დამეთანხებით, დიდი შეფასებაა!

ვინ არის ნუგზარ ნადარაია?

მორწმუნე ქრისტიანი, მისი მშობლებისა და წინაპრების საფლავების სანიმუშოდ მომვლელი, უპირველესი ჭყონდიდელ-ცოტნეიდელი, აღმსარებელი მცნებისა უფლისა და დამდებელი სულისა თვისისა საქართველოსა და მოყვასთათვის. კაცი, რომელიც განსაკუთრებით სჭირდება დღეს საქართველოს. ის იყო დიდი ქართველი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ინტელიგენტი, დასახული მიზნის ბოლომდე მიმყვანი და მიზნის მისაღწევად გვერდით მდგომთა ამყოლი. დაუშრეტელი ენერგიის მქონე, ამ ენერგიას გამოყენების უფრო დიდი მასშტაბები რომ მიცემოდა, ამით მთელი საქართველო მოიგებდა. ის იყო კარგი მეუღლე, მამა, ბაბუა, მეგობარი, საზოგადო მოღვაწე და პიროვნება დროში, მას დიდხანს უნდა ეცოცხლა, ედღეგრძელა ჩვენდა სასიხარულოდ.

გულწრფელად, დამსახურებული სიყვარულით და ერთგულებით ვიგონებთ ფოთიდან (ფაზისიდან)

დოდო და ვაგნერ მხეიძეები ოჯახით, ელდარ მხეიძე ოჯახით, ნანა მხეიძე და რეზო შულაია ოჯახით.
ნაზი და ზაველი ბაკურაძეები, რამაზ ქორქია ოჯახით

წარსულიდან მოსული ბოროტება

(ანუ ვინ არის სალომე ზურაბიშვილი, იგივე პეტრე იბერის ფსევდონიმით)

ჩემი, წინა წერილი: ,,საქართველოს გზის" ,,ლიდერს", გაოცნებული პრეზიდენტობის კანდიდატს-სალომე ზურაბიშვილს, გახლდათ მისი ცხოვრებისა და ე.წ. მოდვაწეობის, (ქვეყნისათვის), ძალზედ მნიშვნელოვანი ეპიზოდის წარმოჩენა, სადაც შევეცადე მეგობრულად ამეხსნა მის ფრთებს ქვეშ კეთილდღეობის მაძებართა ,,ოცნების" ხიბლში ჩავარდნილთათვის, რომ ,,სალომე ზურაბიშვილის გზა უფსკრულია და მე არ მინდა, მცირედი, მაგრამ, ამ ქვეყნის შვილები გადავეშვათ იმ ცოდვით სავსე უფსკრულში, საიდანაც ვერასოდეს ამოხვალთ, რადგან ამ მოღალატის თანაზიარნი გახდებით". ასევე მოვუწოდე: შევიკრათ ერთ მუშტად და ვიხსნათ ჩვენი სამშობლო დაუძინებელ მტერთაგან! ამით აღვასრულებთ, ჩვენი წინაპრების საუკუნოვან, ოცნებას, გავხდეთ ჭეშმარიტად დამოუკიდებელი და თავისუფალი ერი!. ვაქციოთ ჩვენი ბრძოლა არაპარტიულ, არამედ, ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ბრძოლად და საქართველო გაიმარჯვებს! მაგრამ, (სამწუხაროდ) ეროვნულს ამოფარებულებმა ს. ზურაბიშვილის გამარჯვება ამჯობინეს საქართველოს გამარჯვებას. დღეს კი, რას ვიმკით სალომესთან წილნაყარნო?! შეიცვალა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ცხოვრება უკეთესობისაკენ? მართალია, თქვენ არც დღეს გაწუხებთ საკუთარი სამშობლოს ბედი, მაგრამ არც ასეა საქმე, (როგორც თქვენ ფოქრობთ), მხილება გრძელდება, რომ მომავალმა თაობებმა იცოდეს, ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ეტაპზე, სადაც წყდებოდა ჩვენი სამშობლოს ბედი, რა როლი ითამაშეთ თქვენ, ფსევდოეროვნულებო!-ქართულ ოცნებასთან ერთად! მინდა გითხრათ, რომ ეს იყო უდიდესი ღალატი! მიმართული საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ, რა დროსაც ჩვენი სამშობლოს ბედის ბორბალი უკუღმა დატრიალდა, გაიმარჯვა კრემლის ,,ქართულმა ოცნებამ" და მისმა ემისარმა, სალომე ზურაბიშვილმა. რაშიც უდიდესი წვლილი მიგიძღვით თქვენ, ვაი ქართველებს! მართალია, დღევანდელობას ,,გაექეცით", მაგრამ გარწმუნებთ! სამართლიან განაჩენს ვერსად გაექცევით, რომელიც არც ისე შორსაა და იგი, უკვე, კარსაა მომდგარი. უფალი მეფობს!

დიახ, პატივცემულო მკითხველო, სალომე ზურაბიშვილის საპრეზიდენტო არჩევნებში ,,გამარჯვებამ", ჩვენი სამშობლო სრულ წყვდიადში ჩაძირა. გამეფდა დემონის თავისუფლება! ქვეყნის სათავეში მოვიდა არსება, რომლის მიზანი საქართველოს სახელმწფოს სრული ჩამოშლაა.

აქედან გამომდინარე გადავწყვიტე, სრულად ჩამოვხსნა, (ერთი შეხედვით ამ ,,უმანკო" ქალბატონს) ნიღაბი. ქურდული ოცნების გაპრეზიდენტებულ, კრემლის ემისარს, სალომე ზურაბიშვილს, რომელიც ცხვრის ქურქში გახვეული მგელია და მასთან ერთად მათ, ვინც თავიანთი ნებით, (პირადი გამორჩენის მიზნით) მხარი დაუჭირა, მართლაც ქურდული ,,ოცნების" კანდიდატს ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში და ყველანაირი ბინძური ხრიკებით გაპრეზიდენტეს რუსული ოცნების ემისარი.

მინდა, ასევე თქვენს გასაგონად განვაცხადო: (რასაც ნაკლებად გაიგებთ, მაგრამ მაინც...) სალომე ზურაბიშვილის მიერ, განვლილი დრაკონული ცხოვრების შესახებ! იქნებ ეხლა მაინც ჩაფიქრდეთ და აღგეძრათ სინანულის გრძნობა თქვენს მიერ ჩადენილი საბედისწერო შეცდომების გამო, რომელიც ბევრით არ განსხვავდება იუდასგან. რომელმაც 30 ვერცხლად გაყიდა უფალი, თქვენ კი სამშობლო 5 კგ. კარტოფილისა და ხახვის საფასურად. და ვინ იცის კიდევ რის საფასურად! იუდას ქრისტეს ჯვარზე გაკვრის შემდეგ სინანულის გრძნობა მაინც აღეძრა (თუმც ძალიან გვიანი იყო) თქვენ კი დღესაც არათუ სინანულის გრძნობა, არამედ ხვალაც (დაუფიქრებლად) იგივეს გააკეთებთ. ღმერთმა დაიფაროს ჩემი სამშობლო თქვენგან!

სალომე ზურაბიშვილი, როგორც მართლმადიდებლობისაგან განდგომილი, ჯერ თავისი შვილის ნათლიასთან, შემდეგ მის მეუღლესთან, ჯანრი კაშიასთან ერთად, პარიზში გამოსცემდა ე.წ. ქართული ეროვნული ინსტიტუტის ჟურნალ ,,ივერიას", სწორედ ეს ინსტიტუტი იქცა საქართველოში მთავარი გადატრიალების იდეოლოგად და სახელმწიფო საბჭოს რუპორად, რომელიც ,,პეტრე იბერის ფსევდონიმით იბეჭდებოდა: ,,ყოველი ცდა დიქტატორის მხრიდან, (საუბარია ზვიად გამსახურდიაზე) თავისი არაკანონიერი მოქმედებისა და ძალაუფლების ლეგიტიმური დაცვისა და დემოკრატიული გზით არჩევისა და უმრავლესობაზე მითითებით, წარმოადგენს სიმართლისა და კანონის ცინიკურ უგულვებელყოფას". ამ ვრცელ წერილში ს. ზურაბიშვილი, - ჯ. კაშია, პირდაპირ ილაშქრებენ კანონიერი ხელისუფლებისა და, პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ! და მათ, არალეგიტიმურ, არადემოკრატიულ ხელისუფლებად მიიჩნევენ და, მთელ მსოფლიოს ევროპიდან ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ განაწყობდნენ. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, ჰიტლერს, სტალინს, მუსოლინს, ჩაუშესკოს ადარებდნენ. აი, რას წერდნენ ამის შესახებ ეს სულით გაყიდულები: ,,ჰიტლერიც, სტალინიც, მუსოლინიც და ჩაუშესკოც სავსებით ლეგიტიმური გზით იყვნენ მოსულნი ხელისუფლების სათავეში." ამით ამცნეს დემოკრატიულ ქვეყნებს, როგორც ისინი შემდგომ გახდნენ დიქტატორები, რომელთა დანაშაული, კაცობრიობის წინაშე უდიდესი იყო, რომლებსაც მილიონობით უდანაშაულო ადამიანების სისხლში ჰქონდათ ხელები გასვრილი. გამსახურდიაც იგივე გზას ადგასო! დღეს კი, ეს ვაი პრეზიდენტი თავის ინაოგურაციაზე მორალსა და კანონს ამოფარებულმა ურცხვად განაცხადა: ზვიად გამსახურდიას დამსახურებაა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება და ჩვენ პრეზიდენტის გარდაცვალების საქმეს აუცილებლად გამოვიძიებთ". მაშინ, როდესაც ცოცხალი პრეზიდენტის წინააღმდეგ სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ კრემლის მიერ ამბოხებულთ და მის წინააღმდეგ სხვა რენეგატ ქართველებთან ერთად საშინელი ცილისმწამებლური კამპანია ჰქონდათ გაჩაღებული. პირველად ზვიად გამსახურდიას ჩაუშესკო ს. ზურაბიშვილმა და ჯ. კაშიამ უწოდა და მის დასამხობად ერთადერთ გზასაც უჩვენებდნენ მაშინდელ ე.წ. ოპოზიციას. ეს იყო სისხლიანი აჯანყება! ხოლო მათი გამარჯვების შემთხვევაში ე. წ. დემოკრატიული ხელისუფლების დამყარებისას 1921 21 თებერვლის კონსტიტუციის ამოქმედებას თვლიდნენ. (რომელსაც არც კი უმოქმედია).

საქართველოს პირველი პრეზიდენტის 1992 წლის 14 მაისის ,,მიმართვა ააფხაზეთის მოსახლეობისადმი", სადაც ნათქვამია: ,,მოგმართავთ, როგორც ქართველებს, ასევე აფხაზებს, ვინაიდან საფრთხეშია ჩვენი საუკუნოვანი ძმობა. ...ნეოკომუნისტურ-კრიმინალურმა ხუნტამ მოსკოვის დავალებით გააუქმა საქართველოს მომქმედი კონსტიტუცია, რომელშიც ჩაწერილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, როგორც საქართველოს შემადგენელი ნაწილი... ახალი კონსტიტუცია აღარ არსებობს, ძველ ში კი საერთოდ არ არის ნახსენები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა"... ამიტომ უწოდა ს. ზურაბიშვილმა აფხაზეთს განგრენა?!.

ამასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ თქვენ, ვინც ასე ძლიერ გაისარჯეთ მოღალატე ს. ზურაბიშვილისათვის, თქვენთვისაც განგრენაა აფხაზეთი?!

90-იან წლებში ს. ზურაბიშვილი და ჯ. კაშია პირდაპირ აძლევდნენ ინსტრუქციებს ,,სამხედრო საბჭოს", რის შესახებ საქართველოს მოსახლეობამ თითქმის არაფერი იცის!

,,სამხედრო საბჭო" უნდა მოქმედებდეს მანამ, სანამ, საქართველოშო არ მოხდება მდგომარეობის სტაბილიზაცია. არ ჩატარდება საყოველთაო არჩევნები და არ შეუდგება მუშაობას. რაც შეეხება ,,სტაბილიზაციას" ს. ზურაბიშვილი და ჯ. კაშია მიიჩნევდა კანონიერი ხელისუფლებისა და პრეზიდენტის მომხრეების სრულ განეიტრალებას იარარის ძალით. ს. ზურაბიშვილისა და ჯ. კაშიას რეკომენდაციით დაიგეგმა და განხორციელდა სახელმწიფო საბჭოს შექმნა ცნობილი პუტჩისტების და მათი პოლიტიკური პარტიების, ვინც მხარი დაუჭირა სახემწიფო გადატრიალებას, მათი შეყვანა ,,დამფუძნებელ დარბაზში" (ლ. კვირიკაშვილი) მინდა ასევე გკითხოთ თქვენ სალომესთან წილნაყარნო: იქონია თუ არა ზურაბიშვილი-კაშიას ანტიეროვნულმა რეკომენდაციებმა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ საბედისწერო შედეგები?! შეიძლება ვინმეს გაუჩნდეს კითხვა, (აღნიშნულთან დაკავშირებით) ,,სად კრემლი და სად ევროპაში მცხოვრები ზურაბიშვილი - კაშია?" და სხვანი...

საქმე იმაში გახლავთ, რომ კრემმლი თავის ვერაგულ ზრახვებს ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ სხვადასხვა ბინძური ხრიკებით ახდენდა, მათ შორის თავისი ემისრების მეშვეობითაც, რომლებიც განთესილნი იყვნენ ევროპაში და დასავლეთში, უშუალოდ კრემლის მითითებით გაჩაღებული ჰქონდათ ენით აუწერელი ბინძური ცილისმწამებლური კამპანია, რომელიც მზნად ისახავდა საქართველოში კანონიერი ხელისუფლებისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ შექმნილ უკმაყოფილებას ევროპა-დასავლეთის სახელი დარქმეოდა, რაც შემდგომ მწვანე შუქს აუნთებდა რუსეთის იმპერიას, საქართველოს წინააღმდეგ მესამე ანექსია-ოკუპაციის განხორციელებაში. (რაც 1992 წლის იანვარ-თებერვლის სახელმწიფო გადატრიალებით დასრულდა.) ეს არ იყო, როგორც დღეს უწოდებენ ,,სამოქალაქო ომი", ეს იყო კარგად ორგანიზებული საერთაშორისო შეთქმულება დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ! რაშიც, (სხვა მოღალატეებთან ერთად) უდიდესი როლი ითამაშა ზურაბიშვილ-კაშიას მოღალატურმა ტანდემმა.

ზურაბიშვილ-კაშიას მავნებლურმა სა-ქმიანობამ, ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა განსაკუთრებით სამხედრო საბჭოს ნდობასთან დაკავშირებით. აი, რას აცხადებენ ისინი: ,,არავინ უნდა მისცეს თავს უფლება, უნდობლობა გამოუცხადოს ,,სამხედრო საბჭოს" და მის მხედრებს (იგულისხმება მხედრიონი), როლებმაც შექმნეს დიქტატურისგან სრული განთავისუფლების, საქართველოს დამოუკიდებლობის რეალური აღდგენის და შენარჩუნების პირობა".

მართალია, ზურაბიშვილი-კაშიას მოღალატური განცხადება წარსულს უკავშირდება, მაგრამ, დამეთანხმებით ,,აწმყო ხომ წარსულისგან არს შობილი". ზურაბიშვილი-კაშიას აწმყო წარსულიდან მოსული ბოროტებაა!!! (არ გათეთრდების ყორანი რაც უნდა ხეხო ქვიშითა).

1991 წლის 2 სექტემბრის აქცია, ედპ-ს მიერ ზურაბიშვილი-კაშიას რეკომენდაციით მოწყობილი პროვოკაცია იყო. 1991 წლის ნოემბერში გამოქვეყნებულ წერილში ზურაბისვილ-კაშიამ განაცხადა: ,,ნაციონალურ-ტოტალური პერესტროიკა საქართველოში". ,,ომონის" მიერ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიტინგის დაშლას ეხმაურება და შენიშნავს კაშია: ,,სიტყვით ერთს ქადაგებს, საქმით კი საწინააღმდეგოს აკეთებს". (გულისხმობდა ზვიად გამსახურდიას) ამით ზურაბიშვილი-კაშია პირდაპირ ნიშანს აძლევენ ე.წ. ოპოზიციას: ,,საპროტესტო აქციები არ შეაჩეროთ, ყველაფერი გადაწყვეტილია"... ისმის კითხვა: ,,საიდან უნდა სცოდნოდათ ზურაბიშვილ-კაშიას, პარიზში, რა ჰქონდა კრემლს გადაწყვეტილი?! დიახ, იცოდნენ და იცოდნენ ზედმიწევნით კარგად, ვინაიდან კრემლთან შეკრულებს აბა, როგორ არ ეცოდინებოდათ?! ისინი, ხომ დიდ აგენტურულ ქსელს წარმოადგენდნენ ევროპაში. (ეს არ არის ზურაბიშვილ-კაშიას თვითლუსტრაცია?). ლეილა კვირიკაშვილი სამართლიანად აღნიშნავს: ,, ავტორი და იდეოლოგი საბჭოთა არმიის როლზეც მიანიშნებს და ასკვნის, რომ ოფიციალური ჩარევა მათ აწყობთ" (საუბარია კავკასიის საოლქო ჯარის და შსს ჯარების ნაწილებზე). კაშია-ზურაბიშვილი აღნიშნავენ: ,,ისინი (კრემლი) უეჭველად მიუშვებენ სიტუაციას, რათა შემდეგ უფრო გარკვეული პოზიცია დაიკავონ და მაქსიმალური სარგებელი მიიღონ". რა იგულისხმება მაქსიმალურ სარგებელში? იქნებ ტერიტორიები? დიახ, ტერიტორიები და საერთო ჯამში უქართველო საქართველო!. ნუთუ ერთი წამით მაინც არ შეყოვნდით და არ დაფიქრდით, (სამშობლოს ინტერესებიდან გამომდინარე) თუ ვის აძლევდით ხმას და ვისთვის გამოიდეთ საკუთარი თავი, რამაც უდიდესი საფრთხე შეუქმნა ჩვენი ქვეყნის არსებობას. თქვენ ხომ ქვენი მოღალატური საქმიანობიდან გამომდინარე) რეალურად მოუსპეთ საკუთარ შვილებსაც მომავალი?! რატომ დაეცით ასე ძლიერ! საიდანაც წამოდგომას სამწუხაროდ, არც კი აპირებთ!

ზურაბიშვილი-კაშიას იდეოლოგიით იმართებოდა ქვეყნის საგარეო უწყება. ინიშნებოდნენ ელჩები და კონსულები.

ცნობისათვის: (,,პროვინციული ფაშიზმი" ზურაბიშვილი-კაშიას დანერგილია, რასაც ხშირად წარმოთქვამდა კრიმინალური სამხედრო საბჭოს მეთაური, ქვეყნის დაუძინებელი მტერი და მოღალატე ედუარდ შევარდნაძე.

ზვიად გამსახურდია თავისი პრეზიდენტობის პერიოდში ღიად აცხადებდა: ,,რადიო ,,თავისუფლების" ქართული რეედაქცია, საქართველოს მტრების ხელშია, მოსისხლე მტრების ხელშია, გესმით კრემლის აგენტურის ხელშია . პირველ რიგში კაშია-ზურაბიშვილი, ლაშქარაშვილი, კლიმიაშვილი და აი, ესენი დათარეშობდნენ ეთერში და მსოფლიოს წამლავენ.. მინდა გკითხოთ თქვენ! ეროვნულს ამოფარებულნო! ყველას კარგად გახსოვთ საქართველოში სისხლიანი გადატრიალება, რასაც კანონიერი ხელისუფლების დამხობა მოჰყვა, რომლის მთავარი ინსპირატორები გახლდათ ზემოთ მითითებული სუბიექტები, რის შემდეგ ჩვენი ქვეყანა და ხალხი ვერა და ვერ გაიმართა წელში, მივიღეთ მხოლოდ ნგრევა, მიწების მიტაცება, სისხლი და ცრემლი. აი, შედეგი იმ მოღალატეების ძირგამომთხრელი საქმიანობისა, რომლის სათავეში თავად სალომე ზურაბიშვილი გახლდათ, რომელიც ჯერ კიდევ 90-ინა წლებში მხილებულ იყო (სხვა მოღალატეებთან ერთად) ზვიად გამსახურდიას მიერ. ითვლებით კი დღეს თქვენ კანონიერი პრეზიდენტის ერთგულ მომხრეებად?! და რას გეტყოდათ თავად პრეზიოდენტი მოღალატე ზურაბიშვილის მხარდაჭერისათვის?! პასუხი ღირსეული მკითხველისათვის მიმინდვია, ვინაიდან ამას თქვენ ნამდვილად ვერ გაიგებთ, ღმერთმა დაიფაროს მართლაც ჩვენი სამშობლო თქვენნაირი ,,ეროვნულებისაგან".

კაშიას ჯერ კიდევ შევარდნაძის ე.წ. პრეზიდენტობის დროს უნდოდა ზურაბიშვილის ჩანერგვა, მაგრამ მიზეზთა გამო ვერ განხორციელდა. (ალბათ, ჯერ კიდევ არ იყო საამისო დრო მის საქართველოში გადმონერგვის). 2004 წლის 20 მარტს (აღნიშნავს ლ. კვირიკაშვილი) საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საფრანგეთის ელჩს სალომე ზურაბიშვილს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა. (რა არის ამაში ცუდი? პირიქით! ოდონდ რატომ არ იქნა ზურაბიშვილის წარსული დეტალურად შესწავლილი.) თუმცა, ზურაბიშვილმა საფრანგეთის მოქალაქეობა შეინარჩუნა. მიხეილ სააკაშვილის ვიზიტი საფრანგეთში მისი თქმით: ,,ზურაბიშვილის მინისტრობას საფრანგეთის პრეზიდენტთან ჟაკ შირაკთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან დომინიკ დე ვილეპინთან განვიხილავთ". ზვიად გამსახურდიამ კი ზურაბიშვილს და სხვა მოღალატეებს ხელისუფლებისაკენ ყველა გზა ჩაუხერგა, მიშამ კი, თავად ჩამოიყვანა სალომე ზურაბიშვილი და საგარეო საქმეთა მინისტრის პორთფელი ჩაბარა. ივანიშვილს კი, ჩვენდა საუბედუროდ მთელი საქართველო. ბუნებრივია, კითხვა აუცილებლად ითხოვს პასუხს. მჯერა ამისი დროც დადგება"... ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია (ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე) ს. ზურაბიშვილის ცხოვრებიდან გაუხმაურებელი ფაქტის გაცხადება, რის შესახებ, საქართველოს მოსახლეობამ დღემდე არაფერი იცის. რა აკავშირებდა მას ირანთან, როგორ შექმნა ოჯახი ირანში დაბადებულ და გაზრდილ, გურჯუსთან" კოკა გურჯუსტანთან, (იგივე ნიკოლოზ გუგუშვილი). ვინ არის ნიკოლოზ გუგუშვილი და რატომ მალავდა ასე საგულდაგულოდ ს. ზურაბიშვილი ამ ფაქტს?! ასევე, რატომ იწვევდნენ მას თეირანში ე.წ. საერთაშორისო კონფერენციებში. ასევე საინტერესოა, რა არის სალომე ზურაბიშვილის ბიოგრაფიაში ირანის სასარგებლოდ მუშაობა?" და რატომ გადაწყდა ყველასგან მოულოდნელად მისი წარდგენა (ქართული ოცნების მიერ) ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატად?! რა იმალება ამ ფარულ გადაწყვეტილებაში. რა უბედურებას უმზადებს სალომე ზურაბიშვილი საქართველოს?!

ვფიქრობ, აქ ოპოზიცია არ უნდა დარჩეს მხოლოდ ,,ქარიშხლად ჭიქაში" და მუდმივად შემდგომი უკანონო არჩევნების იმედის მომლოდინედ. განგაშის ზარების შემოკვრის დროა! არავინ იცის ხვალ რა ბედი ელის ივანიშვილ-ზურაბიშვილის კრემლის რეკომენდაციების ფონზე საქართველოს. და აქ მხოლოდ არაფრის მომცემი, უსუსური საპროტესტო ლოზუნგებით საქართველოს ნამდვილად ვერ იხსნით, მხოლოდ საკუთარ თავს ამოწურავთ, (ორთქლის გაშვებით) დარჩებით უნაყოფონი, როგორც ბიბლიური, (უნაყოფო) ლეღვის ხე, რომელიც უფალმა სამუდამოდ გაახმო. რასაც ნამდვილად არ გისურვებთ, პირიქით, გულით გისურვებთ ზვიადისა და მერაბის ღირსეულ მემკვიდრეობას, რომელიც მხოლოდ ჭეშმარიტი ბრძოლით არის შესაძლებელი. დიახ, ჩემო მეგობრებო! ჩვენი ერისა და ქვეყნის ხსნა, მხოლოდ ეროვნულ სულშია, მხოლოდ ამ სულის მატარებელ ძალას შესწევს ისტორიული სამართლიანობის აღდგენა, რომელიც არის ერთადერთი გარანტი სტაბილიზაციისა და მისი ჭეშმარიტი აღორძინების.

21 მარტი 2019 წელი
საქართველოს რესპუბლიკის
პრეზიდენტის საგანგებო
რწმუნებული ზურაბ ცხვიტარია

ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბიროს მორიგი სხდომა



ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №2/8, 2021 წლის 8 თებერვლის განკარგულებით განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქ ფოთის, საკრებულოს 2010 წლის, 28 ოქტომბრის №10/69 განკარგულებით შექმნილი საზოგადოებრივი სათათბიროს უფლებამონაცვლე სათათბირო ორგანო, რომლის სახელწოდება ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციაში შემავალი საკითხებისა და წინადადებების მომზადების მიზნით შექმნილი სათათბირო-ორგანო-საზოგადოებრივი სათათბირო".

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმავე განკარგულებით დამტკიცდა საზოგადოებრივი სათათბიროს შემადგენლობა და საზოგადოებრივი სათათბიროს საქმიანობის წესი.

მიმდინარე წლის 9 თებერვალს გაიმართა ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციაში შემავალი საკითხებისა და წინადადებების, მომზადების მიზნით შექმნილი სათათბირო ორგანოს - საზოგადოებრივი სათათბიროს პირველი სხდომა, სხდომაზე განხილულ იქნა ორი საკითხი:

- საზოგადოებრიივი სათათბიროს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.
- საზოგადოებრივი სათათბიროს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა **ჯემალ გურგენაძე**. საზოგადოებრივ სათათბიროს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა **გიგლა გვიჩია**.

ჯემალ გურგენაძის მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები: საშუალო სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ჯემალ გურგენაძე მუშაობდა სხვადასხვა სტრუქტურებში. გაიარა მეტად საინტერესო გზა რიგითი სპეციალისტიდან საწარმოს ხელმძღვანელამდე. იყო ფოთის სამშენებლო ტრესტის მმართველი, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, ქალაქ ფოთის მერის პირველი მოადგილე.

მნიშვნელოვანია მისი პირადი წვლილი ქალაქის სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებისა და სრულყოფის საქმეში.

მილოცვა

ჩვენს თვალხატულა ელენეს დაბადების დღესთან, 24 თებერვალთან დაკავშირებით

იმედი და ფიქრის ანგელოზი ეინათოჭდეს ეგზეჭს, სიყვარული და ლვთის წყალობა ან ძოეკლოჭოდეს!

გაიზარდე მამულის და მშობლების გასახარად...

მედო ბებო, ვანო ბაბუ, გიგი, ქეთი, მამუკა, სალომე, ბექა და თორჯინები ,,ფიფქია, პეტა და ელისაბედი"

,,წუხელის ბიჭი დაბადებულა"...

ამას წინათ ფოთის ცენტრალურ საავადმყოფო ,ბომონდში", ერთდროულად 6 ბავშვი დაიბადა."

სამეანო განყოფილება მთელი დამის განმავლობაში დატვირთულ რეჟიმში მუშაობდა,თუმცა,როგორც განყოფილების უფროსი აცხადებს შედეგი ამად ღირდა.

ყველა დედა და ბავშვი თავს დამაკმაყოფილებლად გრძნობს.

როგორც ახლად ნამშობიარები ქალები აცხადებენ, მათ კვალიფიციური,გამოცდილი და უმაღლესიი დონის მედ-პერსონალი ემსახურებოდათ.

როგორც მედიკოსები აღნიშნავენ,მათთვის მსგავსი შემთხვევები განსაკუთრებულად სასიამოვნოა.

კეთილმოწყობილი და თანამედროვე ინფრასტრქტურით აღჭურვილი ცენტრალური საავადმყოფო ,,ბომონდის" სამეანო განყოფილება აქტიურად მუშაობს და დღე-დამის ნებისმიერ მონაკვეთში მზად არის პაციენტების მისაღებად.

პოეზია

ნაპო თოდუა
ცნობილი მეფუტკრე და სახალხო მთქმელი

მიზეზი

ჰა ჯაჰგია ნესად გვქონდეს!
აზჰის გაზიაჰება,
ისე, აჰვის მივაყენოთ,
ჰამის დაზიანება!
მოსმენა და შეჯეჰება,
ინტელექტის ვაღია!?
აჰ ვეძებოთ უმიზეზოდ,
სამიზეზო ბჰაღია.

ნეტავ!!!

აკვნის ბიზნესი ვეჰ უსნჰებს,
ანგელოზების სიმჰავღეს!
ჰა ბედნიეჰი დღე დადგა,
მეთოფეებმა იმჰავღეს!!!

უკადჰებელი!

უკადჰებელი ჰომ იკადჰო,
ცუდი გამოსავაღია,
დაისაჯო, ჯასად დაჰჩე
ეს ზნეობის ნამაღია,
შეჰბიღებას ვინც ჯი ცდიღობს
ცუდი შუამავაღია.
სხვანაიჰად ვინც ამას სჯის
ყოყღოჩინა მამაღია!

აბჰიაღებს!

მაჰტო შენით ნუკი საზღვჰავ
შენ ამ ქვეყნის აჰიაღებს,
აჰა ხედავ ზოგიეჰთი,
თვაღებს ჰოგოჰ აბჰიაღებს!
ივაფკასე, დაამშვიდე,
აგავჰიდე ავიანებს,
ჯაჰგი საქმე ოქჰოდ ფასობს
და ამცჰიებს დაჰდიანებს!

ყველაფჰის ფასად

ყველაფჰის ფასად თავისუფღებას,
აჰამგონია ჰომ ქონდეს ფასი!
თავისუფღება ზნეობის დაცვით,
აი, ეს აჰის ცხოვჰების აჰსი.

ლევთერ ჭოჭუას დღიურიდან

ჩემი მამული

მედამ მზინ ჩემს მამულში
სიო ქჰის და ჩუჰჩუღებს,
აჰე-მაჰე იღვიძებს და
მთა და ბაჰი ყუჰს უგდებს.
განთიადის ვამი დგება,
შჰიაღებენ ვეჰხვები,
ჩემო ტკბიღო მთა და ბაჰო
შენ გეტჰფი და გეხვევი.
შენი სხივი, შენი სითბო,
ცვაჰნამივით მეამა,
შენთან ყოფნას ნუ დამიშღი,
გევედჰები მე ამას.
შენზე შეყვაჰებული ვაჰ,
თვაღხატუღა მამუღო,
ჩემი გუღის მაღამო ხაჰ,
მსუჰს დიდება გაჰგუნო.
თვაღმაჰგაღიტ მინა-ნყაღზე,
მომავღინა განგებამ,
ნუ დამიჰღვევ მე სიმშვიდეს,
ნასვღის ვამიც დადგება.
ბაღ-ვენახში ყოფნა მინდა,
სადაც ხაჰობს ვაჰდები,
აღმა ფჰენით დავტკბები და
მომშოჰდება დაჰდები.
ამიტომაც საქაჰთვეღო
გაბჰნყინდეს და გაღაღდეს,
სანუკვაჰი გზებით ევვღოს,
სუღიეჰად ამაღდეს.
გაუმაჰჯოს ხაღხის ნებას,
განახღების დადგომას,
ეჰისშვიღებს დიდება და
ვაშა ახაღგაზჰდობას.

ვუძღვნი სახალხო მთქმელს,
ბატონ ნაპო თოდუას

აჰ შეჩჰიდე, ნინ იაჰე!

-ნაპო, შენ ხომ აჰ იყავი
ჰოეტი ან მნეჰაღი,
აბა ჰოგოჰ დაიპყაჰი
ჰოეზიის მნვეჰვაღი.
შენ ქაღაქის სადიდებღად,
დღენიადაგ იღნვოდი,
აშენებდი, ამშვენებდი,
საქმეს ჯეთიღს იქმოდი.
- დაუღღეღი და უშჰეტი
ენეჰგიის ჰატჰონო,
ჯოღხეჰ ქაღაქს ემსახეჰე,
დიდხანს, ნაპო ბატონო.
- შენით ნაქაჰგი ღექსები,
მინდა გუღით ვატაჰო.
სახაღხო მთქმეღი ქაღაქში
შენ ხაჰ, ნაპო ბატონო.
-აბა ჰოგოჰ აჰ შეგაქო
ჭიჰ-ვაჰამის ამტანო,
აჰ შეჩჰიდე, სუღ იაჰე,
ნინ ნინ, ნაპო ბატონო.
-გაქებენ და გადიდებენ,
აჰა მჯითხო ჰატომ?
შენ ხაჰ ნაღდი ჯოღოჰიტი,
ფოთში ნაპო ბატონო.
-შენ ნუ შიშობ, დჰო ბევჰი გვაქვს,
ღამაზ ღექსთა ავტოჰო,
,,დჰოს ბევჰს აჰ ვეღოდებიო",
აჰ თქვა ნაპო ბატონო

14.02.2021

დავით ჩიჩგაძე

დედას

თავისთვად ვამბობთ დედა
ჯივიღს ჰომ გადავუჩჩეთ,
მეჩე ჰა ჰომ დაგვიბეჩდა
მეჩე ჰა ჰომ დაჰდს ვუჩენთ.
გახსოვს აღბათ, ჰოგოჰ აჰა
ტკბიღზე ტკბიღი აღეჩსი.
გვეფეჩება, ამბობს,-ნანა,
გაზაფხუღის ხმა გვესმის.
სიცოცხღე და სიყვაჰუღი
ეჰთგან იღებს სათავეს.
ანთებუღი დედის გუღი
ჰამდენ დაჰდს დაატაჰებს,
სად, აღეჩსად ქცეუღ სიოს
თითქოს ცივა, აფჩფოღებს
დედის გუღი გაასციოს?
დაჰდს აჰ გაანატონებს.
და თუ შოჰს, შოჰს გაფჩნდებით
დედა თვაღს აჰ გვაშოჰებს.

სპორტი... სპორტი... სპორტი... სპორტი... სპორტი...

საქართველოს ნაკრებს ახალი მწვრთნელი ყავს

საქართველოს ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებს, ფრანგი სპეციალისტი - **ვილი სანიოლი** უხელმძღვანელებს. 43 წლის ვილი სანიოლი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე 15 თებერვალს დაამტკიცა. ვილი სანიოლის დებიუტი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 2021 წლის 25 მარტს შედგება.

2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ ტურში საქართველოს ნაკრები სტუმრად შვედეთს დაუპირისპირდება. საქართველოს ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი საფეხბურთო კარიერის დროს, საფრანგეთის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ვიცე ჩემპიონი (2006) და კონფედერაციის თასის ორგზის გამარჯვებული გახდა (2001, 2003).

ვილი სანიოლმა მიუნხენის ბაიერნის შემადგენლობაში უეფას ჩემპიონთა ლიგა (2001) და გერმანიის ჩემპიონის ტიტული ხუთჯერ (2001, 2003, 2005, 2006, 2008) მოიგო. ფრანგი სპეციალისტი 2011-2013 წლებში საფრანგეთის ნაკრების ტექნიკური დირექტორის პოსტს იკავებდა. 2013-2014 წლებში საფრანგეთის 21-წლამდე ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო. ვილი სანიოლმა მწვრთნელის რანგში საკლუბო კარიერა დაიწყო და 2014-16 წლებში ფრანგულ ბორდოს ხელმძღვანელობდა.

ალექსანდრე იაშვილი (სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტი): საქართველოს ნაკრებს ვილი სანიოლი უხელმძღვანელებს. ისეთი მთავარი მწვრთნელის მოძიება, რომელიც ყველა საჭირო კრიტერიუმს აკმაყოფილებს, ძალიან რთული იყო. აქედან გამომდინარე მოხარული ვარ, რომ ეს პროცესი ჩვენთვის სასურველი შედეგით დასრულდა.

ვილი სანიოლს ძალიან წარმატებული საფეხბურთო კარიერა ჰქონდა, რაც ვფიქრობ, რომ ნაკრების მოთამაშეებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია. ჩვენი გუნდის მომავალ მთავარ მწვრთნელს გამარჯვებულის მენტალიტეტი აქვს, რაც საფეხბურთო კარიერის განმავლობაში არაერთხელ დაუმტკიცებია.

აქტიური საფეხბურთო კარიერის შემდეგ სანიოლი საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორის პოსტზე მუშაობდა. ასევე მწვრთნელის რანგში წარმატებულად უმუშავია საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებში და საფეხბურთო კლუბ ბორდოში. მიუნხენის ბაიერნში კი, იგი კარლო ანჩელოტის თანაშემწე გახლდათ.

მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ მისი საფეხბურთო ფილოსოფია და თამაშის სტილი ძალიან ახლოს დგას ჩვენს ფეხბურთთან. გადაწყვეტილების მიღების პროცესში დიდი როლი ითამაშა იმ ფაქტმა, რომ ვილი სანიოლი ახალგაზრდა და ამბიციური მწვრთნელია, რომელსაც ბევრი რამ აქვს დასამტკიცებელი. მოლაპარაკების პროცესში მომავალი მთავარი მწვრთნელი სრულად გაეცნო ინფორმაციას ჩვენი გუნდის შესახებ. მან ნახა საქართველოს ეროვნული ნაკრების მონაწილეობით მატჩები და ამ ყველაფრის საფუძველზე ვილი სანიოლს სჯერა ამ გუნდის.

ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ საქართველოს ნაკრების პოტენციალის გაცნობის შემდეგ მიიღო მან თანამშრომლობის გადაწყვეტილება. ბევრი მიმართულებით ჩვენი შეხედულებები ერთმანეთს დაემთხვა.

ფეხბურთის ფედერაციისთვის მნიშვნელოვანია, რომ მთავარ მწვრთნელთან შედეგზე ორიენტირებული ხელშეკრულება გაფორმდა. ნაკრებში ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით კონკრეტული მიზნების მიღწევის შემთხვევაში, უკვე არსებულ ორწლიან კონტრაქტს, კიდევ ორწლიანი თანამშრომლობა დაემატება.

მიდიხარ, ტკბილი გქონდეს მგზავრობა

ვლადიმერ ჩიქობავას ხსოვნას

როდესაც კარგი კაცი მიდის ამ ქვეყნიდან სევდა და სინანული გეუფლება, რომ ვერ შეძელი მიშველება. ეს კიდევ უფრო დაგვაფიქრებს წუთისოფლის ამაოებაზე. ალბათ, მიწიერი გზა განგებამ იმისთვის გვარგუნა, რომ შეგვამზადოს ზეციური ამაღლებისათვის. ვლადიმერ ჩიქობავამ ღვთისა და კაცის სიყვარულით განვლო ეკლიანი, წინააღმდეგობრივი გზა ვიდრე მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლებდა. იყო ბედნიერი დღეები, წლები. თუმცა, ბოლომდე ვერ გაიხარა მიწიერი ყოფიერებით, ვერ მოესწრო 70 წლის იუბილეს, რომელსაც ასე სიხარულით ელოდა, რათა, ყველა ერთად შეეკრიბა, შეეჯამებინა ცხოვრების გზა, მოფერებოდა თავისიანებს. ეს მართლაც დიდი გადასახედია.

ყველანი ჩვენი ბავშვებიდან მოვდივართ, მისმა ბავშვობამ სენაკის ულამაზეს ისტორიულ მხარეში გაირბინა - არქეოპოლისის მიდამოებში, ტეხურას პირას. ფრიადოსანი მოსწავლე სოფლის მეურნეობით იყო გატაცებული. სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, სამეცნიერო და პრაქტიკულ მუშაობას ეწეოდა ანასეულისა და ფოთის სასოფლო-სამეურნეო საცდელ სადგურებში დიდი მეცნიერის, კოლხეთის მინდიად წოდებული ალექსანდრე მოწელიას ხელმძღვანელობით.მის გვარს გენეტიკურად მოსდგამდა სამეცნიერო პოტენციალი. ვლადიმერის ბიძა გახლდათ აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა-მსოფლიოში აღიარებული ენათმეცნიერი, რომელსაც ყოველთვის დიდი სიყვარულით და პატივისცემით იხსენებდა. შემდეგ იყო ოჯახის შექმნის სიხარული დიდებულ ქალბატონთან დარეჯან ყიფიანთან ერთად. ერთმანეთს მისდევდნენ სიყვარულით, სილამაზით, დღესასწაულებით გაჯერებული წლები. მათ საბოლოოდ ფოთს დაუკავშირეს პროფესიული საქმიანობა. ვლადიმერ ჩიქობავამ ბევრი რამ გააკეთა ქალაქის სურსათის მომარაგების მიზნით ახალი სასათბურე მეურნეობის ჩამოყალიბებისათვის. თუმცა, 90-იან წლებში, როგორც ყველას, მასაც გაუჭირდა და საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოდ. თუმცა ერთ წელზე მეტ ხანს ვერ გაძლო იქ გულმხურვალე, მეგობრულმა და სამშობლოზე შეყვარებულმა კაცმა.

დრო სწრაფად გადიოდა, მალე დავაჟკაცდა ერთადერთი ვაჟიშვილი გიორგი. ძმასავით წამოეწია და გვერდში დაუდგა კარგი ფინანსისტი, ბანკის ხელმძღვანელი, საზოგადოებაში დაფასებული და მიღებული პიროვნება.

ვლადიმერ ჩიქობავას მოულოდნელმა გარდაცვალებამ ყველას გული დაგვწყვიტა. მას ძალიან უყვარდა ფოთი და ფოთელები. სტუმართმოყვარე, ხელგაშლილი კაცი, სიკეთით სავსე ყველას გვერდში მდგომი, მრავალმხრივ განათლებული, ასე გაგვახსენდება და მოგვენატრება ჩვენი ძმა და მეგობარი ვლადიმერ ჩიქობავა, რომელსაც ღირსეული ადგილი ეჭირა ფოთის საზოგადოებაში. ბევრი ჯილდოც მიუღია უნაგარო სამსახურისათვის. ძალიან დაგვაკლდება ამ ბრგე ვაჟკაცის გამხნევება და შემოძახილი. დიდი ბედნიერება იყო მის გვერდით ყოფნა, მუშაობა და მოლხენა.

ისღა დაგვრჩენია, მოგონებებში მოვეფეროთ და გავაცოცხლოთ კაცი, რომელიც ასე ძალიან დააკლდა მეგობრებს, ახლობლებს, დააკლდა ქალაქსა და ქვეყანას.

მსუბუქი ყოფილიყოს კოლხეთის-უძველესი ფაზისის მიწა და ღმერთს ებარებოდეს მისი დიდებული სული.

მეგობრების და მეზობლების სახელით:
ჟერონი შუბითიძე,
ზურაბ აბრალავა, ნუგზარ კაჭარავა,
სანათა თოდუა, რამაზ ქორქია,

ჩვენო დარეჯან და გიორგი თქვენთან ერთად ვგლოვობთ თქვენს მეუღლეს და მამას. მგონია ***ვლადიმერ ჩიქობავას*** *გარდაცვალებამ გააჩინა დიდი სიცარიელე სამეზობლოში, სამეგობროში, და იქ სადაც ის მუშაობდა. ყველას დიდხანს გვემახსოვრება მისი დაუღალავი შრომის მოყვარეობა, მისი უბადლო აგრონომიული ცოდნა და გამოცდილება.*
მშვიდობით კარგო მეგობარო.

მეგობრების და მეზობლების სახელით ჟერონი შუბითიძე

მზია და ჟერონი შუბითიძეები ოჯახით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვლადიმერ ჩიქობავა.

ვლადიმერ ჩიქობავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კარგი ფეხბურთელისა და მშენებლის ხსოვნა

რობერტ კვარაცხელია 23 თებერვალს 65 წლის გახდებოდა

ბავშვობიდან ფეხბურთით იყო გატაცებული.მისი ტალანტი შეუმჩნეველი არ დარჩენილა და საფეხბურთო სკოლაში ეუფლებოდა სპორტის ამ სახეობას. ამავე დროს ფრიადოსანი მოსწავლე იყო. მალე საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში მიწვიეს და იქაც თავი ისახელა განსაკუთრებული მონდომებით.შემდეგ ფოთის კოლხეთში თამაშობდა და თავისი წვლილი შეიტანა გუნდის იმდროინდელ წარმატებებში.

როგორც მშენებელი აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის აღმშენებლობაში. იყო ერთ-ერთი დიდი სამმართველოს მთავარი ინჟინერი და იქიდანაც ეხმარებოდა თავის გუნდს ფინანსურად, მორალურად. ის გახლდათ დიდი ოჯახის პატრონი, ძალიან ეამაყებოდა დიდებული მეუღლე და შვილები.

მეგობრული, კეთილსინდისიერი პიროვნებისა და კარგი სპორტსმენის ხსოვნა დიდხანს დარჩება ფოთელთა გუნდში.

ბადრი ბასილაია.

მხატვრული ხედვა, ახალი დიზაინი

თუ გინდათ თქვენი სამუშაო ადგილი, ოფისის გარე ხედი, ინტერიერი გაალამაზოთ, მიმართეთ სარეკლამო სამსახურს. აქვე დაგიმზადებენ ველოსიპედისა და მოპედის ნომრებს.

თქვენს დაკვეთას შეასრულებს მხატვარ-დიზაინერი რევაზ ჭანტურია.

ტელ: 551 94 00 48 (რიონის სანაპირო, ბაზრის ტერიტორია)

ნომრის სპონსორია შპს ,,ტოტალ პლიუსი''-ს დირექტორი, ნუგზარ ბარამია. რისთვისაც მადლობას ვუხდით მას.

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში"

E-mail: k.khobalia@gmail.com

რედაქტორი ზ. აბრალავა